# ავიცილოთ ცოდვა

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორეს მიერ გამოცემული საგანგებო ბრძანება და ჩათვალა, რომ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდასა და სამართლებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას, გაზრდის მათ პასუხისმგებლობას ერის წინაშე.

აქედან გამომდინარე, სახალხო განათლების სამინისტრომ დაავალა საქართველოს ზ/ს სკოლების, პროფტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორებს, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს ფართოდ განიხილონ და მსჯელობის საგნად აქციონ აღნიშნული ბრძანება მოსწავლეთა, სტუდენტთა, პედაგოგთა და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივებში.

**საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს პრესცენტრი.**

## 11 ნოემბერი დასვენების დღეა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად და 1990 წლის 11 ნოემბერს უზენაესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურის ჩატარებასთან დაკავშირებით, ეს დღე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დატოვებულია არასამუშაო დღედ.

**საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.**

### მილოცვა

საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება“ ულოცავს საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს“ გამარჯვებას საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში და უსურვებს მას წარმატებას თავის საპარლამენტო საქმიანობაში საქართველოს საკეთილდღეოდ.

**საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება“**



უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრათ პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც შედიან საარჩევნო ბლოკში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. მოაგროვა რა 28 ოქტომბერს გამართულ არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა, მან უკვე გაიმარჯვა... ღდა 114 ადგილი საქართველოს ახალ პარლამენტში. ეს კი ნიშნავს, რომ სწორედ მან უნდა იკისროს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინებისათვის, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, დემოკრატიისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისათვის ბრძოლის ძირითადი სიმძიმე.

**სურათზე:** „მრგვალი მაგიდის“ შტაბ-ბინაში.

**გივი კიკვაძის ფოტო** (საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ ფოტოქრონიკა).

## რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა გაგრძელებულია 15 ნოემბრამდე

# გამოიწერეთ


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 3 ნოემბერი № 121 (11607) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


## ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა ღირს:

# 1 წლით 9 მანეთი და 60 კაპიკი

## 6 თვით 4 მანეთი და 80 კაპიკი

### 3 თვით 2 მანეთი და 40 კაპიკი

**1 თვით 80 კაპიკი**

# გამოიწერეთ


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უკანასკნელი ცისფერყანწელი

**თითქმის შევეჩვიეთ სიკვდილით გამოწვეულ ტკივილს, მაგრამ მაინც უსაღზვრო სევდა მოგვიცავს ხოლმე, როცა საქართველოს ერთგული შვილის ალსრულებას შევიტყობთ. ამჯერად არა მარტო კეთილშობილ ადამიანს, ძველი თაობიდან შემორჩენილ ჭეშმარიტ ინტელიგენტს, შესანიშნავ შემოქმედს ვეთხოვებით, არამედ მარადისობის გზისკენ მივაცილებთ „ცისფერყანწელთა ორდენის" უკანასკნელ წევრს, ბატონ კოლაუ ნადირაძეს.**

**თითქმის ერთი წლის წინ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქციას პოეტ კოლაუ ნადირაძის თაყვანისმცემლები ეწვივნენ. თურმე პოეტისათვის 94 წლის შესრულება ხაზლში პირადად მიელოცათ და ამ ლამაზი დაბადების დღის პატარა ჩანახატი, იუბილარის სურათებითურთ, სურდათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილიყო. სამწუხაროდ, ჩვენს დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში ვერ მოხერხდა ამ მილოცვის დროულად დაბეჭდვა. იმ უკანასკნელი საიუბილეო სალამოს შთაბეჭდილებას გთავაზობთ დღეს, რამეთუ, ვფიქრობთ, ამ პატარა ჩანახატს თავისი გულწრფელობითა და მოკრძალებული ემოციურობით არ დაუკარგავს ხიბლი, მით უფრო, რომ სუფრასთან გამართულ მოკლე დიალოგებში კიდევ ერთხელ გამოკრთა შესანიშნავი პოეტისა და პიროვნების, ბატონ კოლაუს ხასიათი.**



**საოცრად** ვღელავთ. გადავწყვიტეთ ბატონ კოლაუს მივულოცოთ დაბადების 80 წელი. ვღელავთ, რადგან არ ვიცით როგორ მიგვიღებს დიდი მელექსე პოეზიის მოყვარულებს. სურვილი კი უსაზღვროა, რადგან გვინდა ახლოს ვიყოთ იმ ჯადოქრული სტრიქონების ავტორთან, ასე რომ გატყვევებს, არ გასვენებს, სულს გიფორიაქებს...

მახსოვს, როგორ გაიხარა, როცა ჩვენი მისვლის და მღელვარების მიზეზი ავუხსენით. ბატონმა კოლაუმ იები და ყოჩივარდები ვაზაში ფრთხილად ჩააწყო, ვგრძნობდით, როგორ ესათუთებოდა, ეფერებოდა რაღაც უცნაური, მისებური სიჩუმით გაზაფხულის ამ მოკრძალებულ მაცნეებს... შემდეგ მასპინძელმა მეუღლეს გასძახა და გაშლილ სუფრასთან მიგვიწვია. ლალისფერი ღვინით სავსე თასები გამოგვიწოდა...

სული ივსება საყვარელი პოეტის ლექსებით, ოთახში რომ შემოაქვს ადრეული გაზაფხულის სურნელი:

**ქუჩებში ჩუმად შემოგვეპარა,**
**იის კონებით მოქარგა კვალი**
**და თბილისს ზეცა გადაეფარა**
**როგორც გაშლნარი ფირუზის**
**თვალი!...**

რა ულმობელი სისწრაფით გარბის დრო!

თითქოს გუშინ იყო ის ბედნიერი, ჩვენთვის დაუვიწყარი საღამო...

საბედნიეროდ, მას შემდეგ ბევრი სიხარულით აღსავსე დღე უწყებია პოეტს ჩვენთვის. არაერთხელ გვინახავს იგი მარად მომხიბვლელი, მომაჯადოებელი [illegible] ეტურ საღამოებში...

ასე იყო იმ დღესაც, 1989 წლის 26 თებერვალს. მაგრამ ამჯერად მარტო მომიხდა ვეახლებოდი პოეტს.

●

ნაცნობი სადარბაზო. ნაცნობი კარი. ქალბატონი ნორა აღებს კარს, ცისფერი თვალები უნათდება.

ქალბატონმა ნორამ პოეტს მოახსენა ჩემი მოსვლა და აი, ბატონი კოლაუ მოემართება ჩემსკენ, ოდნავ წელში მოხრილი, ცდილობს გაიმართოს. ოთხმოცდათოთხმეტი წელი! რა ცოტაა სიცოცხლისათვის და რა ბევრია ახლა, ეკოლოგიურად მოშლილ სამყაროში მცხოვრები ადამიანისათვის...

ნაცნობი ლუპა გადაშლილ წიგნთან დევს. თვალს ვაპარებ იმ კედლისკენ, საიდანაც ჩვენი სათაყვანო მწერლების — ბატონ კოლაუს უსაყვარლესი მეგობრების სურათები შემოგვცქერიან.

საუბარი, რა თქმა უნდა, პოეზიას, პოეტის ადრე წასულ მეგობრებს შეეხება და ვგრძნობ, ბატონ კოლაუს სევდა ეუფლება.

— რა დავაშავე, რატომ დავრჩი მარტო. აღარ არიან ჩემი ძვირფასი მეგობრები. გონება მაინც აღარ მქონდეს, ამ ხნის კაცს დამკარგოდა მაინც. რატომ ვარ ცოცხალი... ზუსტად ასე წუხდა იმ დღესაც, როდესაც ლადო გუდიაშვილის მძიმე ავადმყოფობის ამბავი შეიტყო.

მინდოდა მენუგეშებინა, რაღაც მეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე, სიტყვაც ვერ დავძარი მის სანუგეშებლად. რაც არ უნდა მეთქვა, ვგრძნობდი, ყველაფერი უფერული და უსუსური იქნებოდა. განგებამ მართლაც უსამართლოდ და უდროოდ დაანგრია ძმობის დასი. ადრე ათქმევინა პოეტს მეგობრებისადმი ცრემლიანი სიტყვები:

**ო, ხომ არ არღვევს მდუმარებას,**
**შენში რომ ჩადგა,**
**მაგ შუბლის უკან მომწყვდეული**
**ცეცხლის მორევი?**
**ნუთუ სიკვდილმა ყოველივე**
**უკვალოდ შთანთქა —**
**ვერ მოვეხვევით ჩვენ**
**ერთმანეთს განმეორებით?**

**(ვალერიან გაფრინდაშვილს)**

— ერთი იმედით მივდივარ საფლავში. მე მართალი ვარ ჩემი ერის, ჩემი მამულის წინაშე. არაფერი დამიშავებია. ერთგულად ვემსახურე ჩემს მშობელ ხალხს, ჩემს ქვეყანას. ბევრჯერ ვმდგარვარ სიკვდილის წინაშე, მაგრამ დათ-[illegible]

[illegible] მარაბდისა ჩემს გულს მიჰკვრია", მგოსნის არსებას განუკურნებელ იარად დასჩნევია წიწამურიდან საგურამომდე მიმავალი „ეკლიანი და პატარა გზა", გზა, სადაც ვერაგულად განგმირეს ქართველი ხალხის დიდი შვილი და მოამაგე ილია ჭავჭავაძე. ამ ლექსს „წიწამურიდან საგურამომდე" აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ. კაცს ეს ერთი ლექსიც ეყოფოდა, რომ ქვეყნად დიდი პოეტის სახელი დაეტოვებინა.

— ბატონო კოლაუ, თქვენ გაცოცხლათ საქართველოს სიყვარულმა, თქვენმა მამულიშვილურმა გრძნობებმა, რომელიც ასაზრდოებს თქვენს გულს... ადამიანების უსაზღვრო სიყვარულმა...

— მართალს ბრძანებთ. მამული იყო და არის ჩემთვის სათაყვანებელი და უპირველესი...

იმ საღამოს მოსალოცად მოსულიყვნენ პოეტის შვილები, შვილიშვილები და ახლობლები.

პოეტს კმაყოფილი სახე აქვს, ყველას სიყვარულით უყურებს, ბავშვივით ეფერებიან, ესათუთებიან...

●

ისევ დაასწრეს გაზაფხულს ლურჯმა იებმა, რომ გახაროთ კიდევ ერთი წლის შემობრუნება, დაგილოცოთ თქვენი უსპეტაკესი გზებით გავლილი 94 წელი და თქვენი მყუდრო ბინის ზღურბლთან მომდგარი ოთხმოცდათხუთმეტი, კიდევ ერთი ძვირფასი საღამო იქნება ჩვენთვის, თქვენი პიროვნების, თქვენი უჩვეულო პოეზიის თაყვანისმცემლებისათვის, საღამო შემკული გარდასული დღეებით, რომლებსაც თქვენებური სულის სინაზით გაიხსენებთ...

„ხავერდის კიბით" შემობრძანდებიან თქვენს სამუშაო ოთახში მონათხრობიდან ფანტასტიკური ძალით გაცოცხლებული სახებანი... მერე ეს უცნაური ჩვენებანი, როგორც ულმობელი დროის ნამსხვრევები, რაღაცნაირად გამოუთქმელად სერავენ სულს და საუკუნოდ ენივთებიან ჩვენს არსებას...

ლურჯი საღამო განუწყვეტლად აშრიალებს სულში ფერად მოგონებებს...

კვლავ ჩაგვესმის ნატიფი ღიმილით თქვენგან ადრეც თქმული მამის სიტყვები, ასე რომ ამშვენებენ თქვენი ლექსების წიგნის კარედს:

— გახსოვდეს, პირუტყვს არასოდეს ჩაარტყა თავში... უმძიმესი ცოდვაა სუსტის დაჩაგვრა, არც სხვას მისცე უფლება სუსტის დაჩაგვრის...

„...მამამ მაზიარა ქართული ენის სიდარბაისლეს, მან ამიხსნა სიტყვა „რაინდის" ჭეშმარიტი არსი. მხიბლავდა მასში ნათელი გონება, მაღალი მორალი. ყველაფერში ბიძგის მომცემი იყო მამა..."

ქუჩის ხმაურში ინთქმება თბილისური ლურჯი საღამო... ორნი მდუმარედ მივუყვებით გზას. [illegible] მერე სულგანაბული ვუსმენთ თქვენს რაღაც სხვაგვარ, მრავალთაგან გამორჩეულ ხმას, წყნარი, მშვიდი ტონით შეფერილს და თითქოს ჩვენს თვალწინ განუმეორებელი სურნელით წარმოჩნდებიან სურათები ფერადფერადი — ალადასტურით სავსე გიდელი... მდინარე ბონკო... პატარა ბიჭი, თავგადადებული რომ ეძებს ქვებში „ცხრაფეხას"...

ქუთაისი. თაფლის სანთლით განათებული სცენა. მაგიდაზე ქამრიანი პატარა ჭიქები. ცისფერ სუფრაზე ბროწეულის ყვავილებია მიმოფანტული... თავდავიწყება ლექსებით...

ძვირფასი სახეები... პაოლო. ტიციანი. ვალერიან გაფრინდაშვილი. სერგო კლდიაშვილი. ალი არსენიშვილი. შალვა კარმელი. სანდრო ცირეკიძე. ბედნიერი საძმო..

მოსკოვი. რუსული პოეზიის საღამოები. არაჩვეულებრივი, მომხიბლავი ანა ახმატოვა.

„იასნაია პოლიანა". ღრმა მგრძნობიარობით განცდილი წუთები...

„ხავერდის კიბით" მიილევა გზა...

თითქოს სულგაკმენდილი ვუსმენთ საყვარელ ხმას:

— კარგად მახსოვს „იასნაია პოლიანაში" საფლავის ადგილიც... სამგლოვიარო პროცესიას ესწრებოდა მთელი მოაზროვნე რუსეთი... მაგონდება თეთრ ჩოხაში გამოწყობილი იშვიათი გარეგნობის ტყუპები — ლადო და გრიშა ჯაფარიძეები. სიჩუმეში მიჰქონდათ კუბო.... დიდი მწუხარებით ეთხოვებოდა რუსეთი უზარმაზარ შემოქმედს... დიდი გლოვა ხომ ყოველთვის მდუმარებითაა მოსილი..

საუბარში შეუმჩნევლად ვუახლოვდებით ქაშუეთს.

აკაკი, ილია! დიდებულ მამულიშვილთა სახეები უნებლიედ გვახსენებს თქვენს საუბარს ერის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე. განსაკუთრებული ინტერესით რომ ჰყვებოდით მათ დიდ გემოვნებაზე. რა დიდი სიყვარულით გაიხსენეთ ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი", მთელი ეპოქა რომ შექმნა ქართულ თეატრში.

— მთელი წლობით ვიყავი დამუხტული ამ შესანიშნავი სპექტაკლით... დაუვიწყარი, განუმეორებელი, შეუდარებელი იყო შალვა დადიანის სულეიმან-ხანი...

რჩეულთა ხვედრია — დიდი პიროვნება ასე დიდებულად ეწყმოდეს და ასე პირთამდე ავსებდეს მისსავე დიდ შემოქმედებას...

ასეთი ბრძანდებით თქვენ, ბატონო კოლაუ და ალბათ ამიტომ ახლავს ასეთი ჯადო თქვენს უკვდავ უძლეველ პოეზიის წიგნს.

**ციური ჯანდიერი,**
**ციური ხეთერელი.**



**ეს ლექსი 1985 წელს „პოეტის ათას სტრიქონში" გამოქვეყნდა, რამაც, ცხადია, ძალიან გაანაწყენა რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა და რისხვამაც არ დააყოვნა. „პოლიტიკური სიბეცისა" და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შეურაცხყოფისათვის" მკაცრად დაისაჯნენ გამომცემლობის მთავარი რედაქტორი მამუკა წიკლაური, მთავარი რედაქტორის მოადგილე იზა ორჯონიკიძე, განყოფილების გამგე გრიგოლ ჭუმბურიძე, რედაქტორი ლეილა ბეროშვილი, მხატვრული რედაქტორი სპარტაკ ცინცაძე, მხატვარი კარლო ფაჩულია და ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელი გოგი ვანიძე.**

**დღეს უკვე ამ ლექსის დაბეჭდვა გმირობა აღარაა, მაგრამ, ახლა, როცა ქართველმა საზოგადოებრიობამ უკანასკნელ გზაზე გააცილა სახიქადულო მამულიშვილი, კარგი იქნება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი კაცობისა და პრინციპულობის დამადასტურებელი ეს სტრიქონები.**

## 25 თებერვალი 1921 წ.

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
გულღვიძრად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი —

ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,

ეფინებოდა გმირების გვამებს—
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე
თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად, ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,

სად, გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლის დაჟიგა კრწანისის ველი, —
წითელი დროშით, მოღრილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოიოდოდა სიკვდილი ცელით!

თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

**კოლაუ ნადირაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის თბილისში ერთი ადგილი





**ზაფხულის** ცხელ დღეებში თბილისის ქალაქის მრავალსართულიან პატარა ოთახებში გამომწყვდეულ ჩვენს შვილებს ჰაერი არ ყოფნით, ეზოები მოასფალტებულია და მათ მშობლებს, რომელთაც არა აქვთ ბავშვების ქალაქიდან გაყვანის საშუალება თავსატეხი უჩნდებათ, სად წავიდნენ, სად დაისვენონ. მხოლოდ ვაკისა და მთაწმინდის პარკები, თუნდაც მზიურ-ქალაქი, რომელიც სახელწოდებას ვერა და ვერ ამართლებს, არაა საკმარისი, მითუმეტეს მათთვის, ვინც ქალაქის ცენტრიდან მოშორებით ცხოვრობს.

...არის თბილისში ერთი ადგილი... აქედან მთელი ზედაზენი მოჩანს. მდინარე მტკვრის ხეობაში, რომელსაც ერთობ უდიერად ვეპყრობით, კიდევ გადარჩა ღვთიური ადგილი. ამ ტერიტორიას მცირედი გასუფთავებისა და პატარა ხიდის გარდა არაფერი სჭირდება, მშვენიერებას თავად ბუნება გვჩუქნის. გლდანი — დიდი დიღმის დამაკავშირებელი ხიდის ქვეშ მდებარე კუნძულებზე მოგახსენებთ. შესაძლოა, ბევრ თბილისელს არც კი სმენია რაიმე მათ არსებობაზე.

ერთ წელზე მეტია, რაც საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინებამ“ ამ კუნძულებზე საკუთარი სახსრებით ტყე-პარკის მოწყობა გადაწყვიტა.

ამის შესახებ ეცნობა ქალაქის მერს, ბატონ ირაკლი ანდრიაძეს, რომელმაც გასცა კიდეც სათანადო განკარგულება. განკარგულების მიხედვით „ალორძინებას“ ნება დაერთო საკუთარი სახსრებით გლდანი — დიდი დიღმის დამაკავშირებელ საავტომობილო მაგისტრალზე არსებული ხიდის ქვეშ მდინარე მტკვრის კალაპოტში მწვანე ნარგავებით მდიდარი კუნძულების ტერიტორიაზე დასვენებისა და კულტურის ტყე-პარკის მოწყობისა, რისთვისაც დაევალა მთავარ არქიტექტურულ-დაგეგმარებით სამმართველოს გადაეცა „ალორძინებისათვის“ ტყე-პარკის მოწყობის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დავალება ამა წლის 15 მარტამდე. ამასთანავე, ასოციაციას მიეცა საშუალება თავისი სახსრებით შეესწავლა ტყე-პარკის მოწყობის შესაძლებლობა ადგილის ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, დაემუშავებინა მისი ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება, შეეთანხმებინა იგი საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან, თბილისის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებისა და მთავარ არქიტექტურულ-დაგეგმარებით სამმართველოსთან.

თავის მხრივ ასოციაციამ ყველაფერი გააკეთა გარდა ტექნიკური გაანგარიშებისა, რადგან ასოციაცია არ არის დაინტერესებული მხოლოდ შემოსავლისა და მოგების მიღებით. „ალორძინების“ მიზანია, მოაწყოს ტყე-პარკი და გადასცეს ხალხს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებობდა კუნძულზე მისასვლელი დროებითი ხიდი, რომლის გამოყენებასაც აპირებდა ასოციაცია. ხიდმშენის № 12 ტრესტში განგვიმარტეს, რომ ხიდის გამოყენება არ შეიძლება, რადგან ავარიულ მდგომარეობაშია და არსებობს მისი წაქცევის საშიშროება.

ჩვენ ხელთ გვაქვს ქალაქის № 12 ხიდმშენის ტრესტის მმართველის ბატონ ბ. ჰილვარიას წერილი, რომელშიც იგი გვისაბუთებს, რომ ხიდის დანგრევა აუცილებელია, გამოთქვამს სურვილს, ითანამშრომლოს ასოციაცია „ალორძინებასთან“ და გვპირდება კუნძულებთან მისასვლელი ახალი ხიდის აშენებას. ბატონმა ბ. ჰილვარიამ ხიდის დანგრევის ნებართვა მიიღო, ხიდი დაანგრიეს.

მას შემდეგ 6 თვეზე მეტი გავიდა. საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინებას“ გადაცემული აქვს კუნძულები და ხიდის უქონლობის გამო ვერ იწყებს მუშაობას.

ამის გამო „ალორძინება“ მიმართავს ქალაქის № 12 ხიდმშენის ტრესტის მმართველს ბატონ ბ. ჰილვარიას და სთხოვს დანაპირები ხიდის აშენებას. აღნიშნული ტყე-პარკის დაარსება ხომ კეთილ სამსახურს გაუწევს როგორც თბილისელებს, ისე ქალაქის სტუმრებსაც. ასეთი ტიპის, ამხელა ტერიტორიის (1 კმ. სიგრძის) ტყე-პარკი საქართველოში ხომ არ არსებობს.

მდინარე მტკვრის კალაპოტში მწვანე ნარგავებით მდიდარი კუნძულების ტერიტორიაზე დასვენებისა და კულტურის ტყე-პარკის მოწყობა საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ კიდევ ერთი სასიკეთო წამოწყებაა, რასაც მხარის დაჭერა, ერთიანი გულისხმიერება და მონდომება სჭირდება.

**ხათუნა დანელია,**
**საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ პრეს-მდივანი.**

# საქართველოს დემოკრატიული პარტიის ორი განცხადება

1990 წლის 20 ოქტომბერს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მორიგი პლენარული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სდპ-ს თბილისის, რუსთავის, გორის, მცხეთის, ვანის, საგარეჯოს, სიღნაღის, საჩხერეს რეგიონალური კომიტეტების წარმომადგენლები.

პლენარული სხდომის დღის წესრიგის შესაბამისად ჩატარდა სდპ-ს მთავარი კომიტეტის არჩევნები და დაზუსტდა დამოკიდებულება სდპ-ს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანების თაობაზე.

სდპ-ს მთავარ კომიტეტს წარმოადგენენ: მაყვალა ჩახვაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვასილ ჭყოიძე, გიორგი ზუმბაძე და ნიკო გონაშვილი.

პლენარულმა სხდომამ აუცილებლად მიიჩნია კომისიის შექმნა, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს ედპ-სთან და შეისწავლის პარტიების გაერთიანების საკითხს. დაადგინა — მხოლოდ კომისიის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე იმსჯელოს მის საბოლოოდ გადაწყვეტაზე.

**ახალი ამბების სააგენტო „იბერია“.**

●

დაიკარგა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მრგვალი ბეჭედი. 1990 წლის 10 ოქტომბრის შემდგომ სდპ-ს მთავარი კომიტეტის სახელით შექმნილი ნებისმიერი დოკუმენტი, დამოწმებული პარტიის მრგვალი ბეჭდით, ჩაითვალოს ბათილად მთავარი კომიტეტის მიერ ამის თაობაზე შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებამდე.

**სდპ-ს მთავარი კომიტეტი.**


# ერთობლივი საავიაციო საწარმო

# „ორბი“

# გთავაზობთ მომსახურებას

ფუნქციონირება დაიწყო ერთობლივმა საავიაციო საწარმო „ორბმა“, რომელსაც საშუალება აქვს გადაიყვანოს მგზავრები და გადაიტანოს ტვირთი სსრკ-ს ნებისმიერ აეროპორტამდე და საზღვარგარეთის ყველა ქვეყანაში.

საწარმოებს, დაწესებულებებს, კოოპერატივებს, ინდივიდუალურ პირებს, ყველას, ყველას, თუ გსურთ სწრაფად, ხელსაყრელ ფასებში და უსაფრთხოდ მოაწყოთ ტურისტული მოგზაურობა, გადაიტანოთ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა ტვირთი, ისარგებლეთ „ორბის“ საშუალებებით.

ილ-76, ტუ-154, ტუ-134 ყველაზე საუკეთესო სატრანსპორტო საშუალებაა.

ისარგებლეთ ამ საშუალებებით.

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, 28, ერთობლივი საწარმო „ორბის“ დირექცია. ტელ. 99-77-28.


# „...იგრძნოს ჩემი გენია“

# მიხედვა სჭირდება ტერენტი გრანელის საფლავს

„და მოვა მარტოობა ჩემი ლურჯი ფრინველი“ — წერდა XX საუკუნის ერთ-ერთი თავისებური, უილბლო შემოქმედი, პოეტი ტერენტი გრანელი.

ტერენტი — მიუსაფარი, მარტოსული, ეული, ჩუმი...

ტერენტი — მგლოვიარე სერაფიმასავით მიმწუხრი, „შერისხული, განძარცული“...

ტერენტი — გზადაბნეული, უდმა სამყარო ეზმანებოდა ტიტან პოეტს.

იწვოდა ხელოვნებაში ანთებული ხელოვანი...

ბოლოს მოაწია რიჟრაჟმა, დადგა ჟამი აღსასრულისა.

„ბედნიერი ვიქნები, სადმე ახლო, თბილისთან თუ სამარე ვიშოვეო“ — ამბობდა რაინდი მარტოობისა.

წავიდა ქვეყნიდან, იმ მიწას გაველ საფლავს.

— საწყალი ტერენტი, სიკვდილის შემდეგაც უპატრონოდაა, თაყვანისმცემლები ბევრი ჰყავს ახალგაზრდობის სახით, მაგრამ ისინი ხომ ვერ გაუკეთებენ საფლავს, — მწუხარედ დაატანა მან.

საფლავი ხომ სიმბოლოა ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრებისა.

საფლავი ხომ სახეა კაცისა, შიროოდ ჩაფერფლილი გენია, მარტოობის რაინდი...

დადიოდა თავის მშობლიურ ქალაქში, მის საყვარელ თბილისში და თან სდევდა ფიქრი, მარტოობა, დუმილი...

ეს იყო, ალბათ, მისი ბედისწერა!

არასდროს, არავისგან უთხოვია დიდება და პატივი. მისთვის პოეტის სახელი იყო ყველაფერი.

დიდი მწუხარება, ჩუმი და გამოუთქმელი წრფელი მწუხარება აჩრდილივით დასდევდა პოეტს. მესამე გზას ეძებდა, რადგან აქ ვერავინ უგებდა, რადგან აქ არავის ესმოდა მისი.

არ დაკლებია თანამემამულეთაგან დაცინვა, შეურაცხყოფა.

იშვიათად მოაგონდებოდა ვინმეს. არავინ იყო მისი მწუხარებისა და ლხინის გამზიარებელი. ყველაფერს მარტო იტანდა. თუკი გამოჩნდებოდა ნათელი ბურუსით მოცულ მის სამყაროში, ისიც შეიმოსავდა მას, ვითარცა სამოსელს.

„საოცრება მოგელის შენ, ტერენტი გრანელი!“ — იტყოდა ხანდახან.

მწუხარება, განსაცდელი და საოცრებანი სდევდა პოეტის ცხოვრებას, ვითარცა სამაია, განუყოფელი ერთმანეთისგან. აკი წერდა კიდეც:

**„მწუხარე ეს ოცნება,**
**მწუხარე ეგ ხანთელი,**
**და ისევ საოცრება**
**და ისევ განსაცდელი“.**

მიღმა სამყაროს ხედავდა; მიღნეშორა, რომელიც ტანჯავდა მას, განვიდა კაცთაგან და „გადაეცა სიკვდილის მდუმარე ხელებს და შეუერთდა მსოფლიო ელემენტებს“.

პოეზიაში დაფერფლილ პოეტს მართლაც თბილისის ერთ კუთხეში ერგო ადგილი.

გადიოდა დრო.

ვიღაც ღვთისნიერს მოაგონდა „მსოფლიო პოეტი“ და დაისვა საკითხი მისი გადმოსვენებისა.

**„მხოლოდ მე ვარ დამწვარი,**
**მხოლოდ მე ვფერფლები**
**და დროა, საქართველომ იგრძნოს**
**ჩემი გენია!“**

იგრძნეს დიდი პოეტი და სამიოდე წლის წინათ დიდუბის წმიდა მიწას მიაბარეს წამებული რაინდის ნეშტი.

„და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უზენაესი და სიჩუმე“ — წერდა ტერენტი. მართლაც, მისი ცხოვრების ვანუყრელი „ლურჯი ფრინველი“ ადგას საფლავს.

ალარ გამოჩნდა პატრონი საფლავისა!

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო“ — თქვა ნიკო ლორთქიფანიძემ.

არც ძეგლი, აღარც საფლავი...

განძარცული, შეუმოსავი და გაუმაგრებელია საფლავი, გვერდზე მიდგმული ჩის მორები საცაა გადმოიყრება.

— ქვა ვარდებაო, მითხრა პანთეონის მომვლელმა ქალმა, რომელიც სათუთად უფრთხილდება ყონაგანი წრფელი დუმილია.

საფლავი ხომ გლოვაა, შინაგანი და გამოუთქმელი, წრფელი გლოვა.

ამიტომაა აუცილებელი ტერენტი გრანელის საფლავის სრულყოფა, მისი პიროვნების, მარტოსული პოეტის შესაფერი საფლავისა, რადგან ასეთივე იყო დიდი პოეტის მიერ განვლილი სევდიანი გზა.

ქართველი კაცი ვიღაცის ან რაღაცის კი არა, უპირველესად საკუთარი თავის წინაშეა ვალდებული, სათანადო პატივი მიაგოს ტერენტი გრანელს.

მივმართავ კულტურის სამმართველოს, მათ, ვისაც ეს ევალებათ, ნუ ვაჭიანურებთ, ნუ ვალოდინებთ საქმეს, ისეც დიდი ხანია ველით პრაქტიკულ ნაბიჯებს. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ხომ ადამიანები ვართ. ამას ითხოვდა მხოლოდ პოეტი ჩვენგან:

**„ზღვის და ცის შორის არის**
**მსგავსება,**
**ისევ ქარია და დღე მზიანი,**
**შენგან არ ვითხოვ მე დაფასებას,**
**იყავი მხოლოდ ადამიანი!“**

და ელის ტერენტი გრანელის საფლავი პატრონს, ელის თავისაეული ცხოვრების საოცარ გვირგვინს, რადგან ჯერ კიდევ გულგრილობის მსახვრალი კვალი ამჩნევია დიდუბეში ტერენტის უსაფლაო საფლავს.

**ფირუზ მჭედლიშვილი,**
**თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.**

# საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრები

1. დემურ ანთია — 1953 წ. ი. ჭავჭავაძის საზოგადოება.
2. დავით ანდღულაძე — 1953 წ. რეჟისორი, უპარტიო.
3. კასუმ აბასალიევი — 1949 წ. აზერბაიჯანელი, ჟურნალისტი, უპარტიო.
4. მერაბ აღნიაშვილი — 1935 წ. მათემატიკოსი, წმ. ილია მართლის საზ.
5. გუძა აფაქიძე — 1945 წ. ისტორიკოსი; ი. ჯავახიშვილის საზ.
6. ლალი აფციაური — 1960 წ. ექიმი, საქ. დემ. პარტია.
7. რობერტ ბაბლიძე — 1935. ფიზიკოსი, პროფესორი, სკკპ.
8. ირაკლი ბათიაშვილი — 1961. ფილოსოფოსი, უპარტიო.
9. კონდრატე ბაბუნაშვილი — 1965 წ. ეკონომისტი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
10. ნუნუ ბალიაშვილი — 1953 წ. ხელოვნებათმცოდნე, წმ. ილია მართლის საზ.
11. მამუკა ბარათაშვილი — 1965 წ. ზეინკალი, წმ. ილია მართლის საზ.
12. ნოდარ ბარამიძე — 1953. წ. გეოლოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
13. ირაკლი ბაზაძე — 1941 წ. ფილოლოგი, პოეტი, უპარტიო.
14. გურამ ბერიშვილი — 1933 წ. მათემატიკოსი, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი.
15. თორნიკე ბერიშვილი — 1960 წ. ფსიქ. მეცნ. კანდ. თავისუფალ დემოკრატთა კავშირი.
16. თამაზ ბექანიშვილი — 1951 წ. მეტალურგი, საქ. დემ. პარტია.
17. ბესარიონ ბეციაშვილი — 1962 წ. პედაგოგი, ერ. დემ. პარტია.
18. რობერტ ბირკაია — 1964 წ. ინჟინერი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
19. კარლო ბლაგიძე — 1928 წ. ფილოსოფიურ მეცნ. კანდიდატი. სკკპ.
20. თენგიზ ბოკერია — 1956 წ. მეზღვაური, საქ. მოქალაქეთა ლიგა.
21. ჯემალ ბულბულაშვილი — 1944 წ. მექანიკოსი, საქ. მოქალაქეთა ლიგა.
22. გიორგი ზუმბაძიშვილი — 1964 წ. ეკონომისტი, ეროვნულ-სოც. პარტია.
23. ზურაბ გაბლიშვილი — 1965 წ. სტუდენტი, წმ. ილია მართლის საზ.
24. ამირან გეგენავა — 1955 წ. გეოლოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
25. ნაირა გელაშვილი — 1948 წ. მწერალი, უპარტიო.
26. თემურ გელაშვილი — 1954 წ. მშენებელი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
27. ნიკო გელაშვილი — 1953 წ. მათემატიკოსი, წმ. ილია მართლის საზ.
28. მევლუდ გელაშვილი — 1948 წ. მუშა, საქ. სახ. პარტია.
29. ჯემალ გელაშვილი — 1944 წ. ეკონომისტი, სკკპ.
30. ნოე გელაშვილი — 1932 წ. ფიზიკოსი, პროფესორი, სკკპ
31. მერაბ გვაზავა — 1958 წ. ფილოლოგი, ი. ჭავჭავაძის საზ.
32. მევლუდ გიგაური — 1956 წ. ინჟინერ-გეოლოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
33. ედიშერ გიორგაძე — 1934 წ. ჟურნალისტი, არჩილ ჯორჯაძის საზ.
34. მამუკა გიორგაძე — 1961 წ. ინჟინერი, ერ. დემ. პარტია.
35. გურამ გოგბაიძე — 1949 წ. ეკონომისტი, წმ. ილია მართლის საზ.
36. თამაზ გოგინაშვილი — 1940 წ. ეკონომისტი, უპარტიო.
37. ავქსენტი გოგოლაძე — 1961 წ. ეკონომისტი, საქ. ეროვნულ. დამოუკ. პარტია.
38. გიორგი გოგნიაშვილი — 1962 წ. ფიზიკოსი, ერ. დემ. პარტია.
39. ზურაბ გოგრიჭიანი — 1961 წ. ინჟინერ-ტექნოლოგი, საქ. სახ. აღდ. პარტია.
40. ვახტანგ გოგუაძე — 1940 წ. ფილოსოფიურ მეცნ. დოქტორი. უპარტიო.
41. ნიკო გონაშვილი — 1956 წ. ინჟინერი, საქ. დემ. პარტია.
42. გარი გრიგორიანი — 1964 წ. სომეხი, ინჟინერი, საქ. დემ. პარტია.
43. კონსტანტინე გუგულაშვილი — 1952 წ. მშენებელი, წმ. ილია მართლის საზ.
44. მერაბ დაღელაშვილი — 1959 წ. ეკონომისტი, საქ. დემ. პარტია.
45. რეზო ესაძე — 1940 წ. კინორეჟისორი, უპარტიო.
46. აკაკი ვასაძე — 1939 წ. მწერალი, უპარტიო.
47. ვალერი ვაშაკიძე — 1950 წ. ისტ. მეცნ. კანდიდატი, ი ჭავჭავაძის საზ.
48. ლევან ვაშაყმაძე — 1957 წ. ექიმი, საქ. სახ. პარტია.
49. ზაზა ვეფხვაძე — 1960 წ. ინჟინერი, უპარტიო.
50. ვახტანგ ზენაიშვილი — 1958 წ. ისტორიკოსი, ერ. დემ. პარტია.
51. გიორგი ზუმბაძე — 1964 წ. მუსიკოსი, საქ. დემ. პარტია.
52. ლაშა თაბუკაშვილი — 1951 წ. მწერალი, უპარტიო.
53. ჯუმბერ თადიაშვილი — 1964 წ. სტუდენტი, ერ. სოც. პარტია.
54. პაატა თავზარაშვილი — 1964 წ. მექანიკოსი, წმ. ილია მართლის საზ.
55. ჯონი თაყნიაშვილი 1966 წ. იურისტი, უპარტიო.
56. გია თვალავაძე — 1959 წ. იურისტი, უპარტიო.
57. თამაზ იაშვილი — 1962 წ. ინჟინერი, ერ. დემ. პარტია.
58. მანანა იაშვილი — 1951 წ. ხელოვნებათმცოდნე, საქ. მოქ. ლიგა.
59. მერაბ იაშვილი — 1938 წ. ინჟინერ-გეოლოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
60. ჯაბა იოსელიანი — 1926 წ. მწერალი, უპარტიო.
61. ვალერიან იოსავა — 1948 წ. იურისტი, სკკპ.
62. ნანა კაკაბაძე, — 1962 წ. ქიმიკოსი, უპარტიო.
63. მურმან კაკაურიძე — 1961 წ. ინჟინერი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
64. ბორის კაკუბავა — 1940 წ. ზოოტექნიკოსი, ი. ჭავჭავაძის საზ.
65. გურამ კაკულია — 1944 წ. ტექნოლოგი. უპარტიო.
66. ვალერი კალანდარიშვილი — 1961 წ. სამთო ინჟინერი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
67. ავთანდილ კალანდაძე — 1968 წ. სტუდენტი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
68. სტეფანე კალაიჯიშვილი — 1959 წ. პედაგოგი, საქ. მოქ. ლიგა.
69. თეიმურაზ კანდელაკი — 1941 წ. ინჟინერ-ეკონომისტი, პროფესორი, სკკპ
70. ლენა კაპანაძე — 1960 წ. იურისტი, სკკპ.
71. კახაბერ კახაძე — 1951 წ. ისტ. მეცნ. კანდ. ი. ჭავჭავაძის საზ.
72. დავით კვარაცხელია — 1960 წ. ექიმი, ერ. დემ. პარტია.
73. თამაზ კვაჭანტირაძე — 1940 წ. ფილოლოგი, რუსთაველის საზ.
74. დავით კვიჟინაძე — 1963 წ. ისტორიკოსი, ი. ჭავჭავაძის საზ.
75. ლაშა კიკალეიშვილი — 1953 წ. სოციოლოგი, უპარტიო.
76. მამუკა კიკალეიშვილი — 1960 წ. მსახიობი, უპარტიო.
77. ზურაბ კიკნაძე — 1933 წ. პროფესორი, ი. ჭავჭავაძის საზ.
78. გიორგი კიკნაძე — 1957 წ. ინჟინერ-მეტალურგი, საქ. დემ. პარტია.
79. გულადი კიკნაველიძე — 1958 წ. მშენებელი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
80. თორნიკე კილანავა — 1956 წ, ისტორიკოსი უპარტიო.
81. ვლადიმერ კილასონია — 1936 წ. ეკონომისტი, ერ. დემ. პარტია.
82. გიორგი კობახიძე — 1953 წ. ფიზიკოსი, უპარტიო.
83. კობა კომახიძე — 1964 წ. ენერგეტიკოსი, წმ. ილია მართლის საზ.
84. ზურაბ კოდალაშვილი — 1965 წ. სამხ. ინჟინერი, უპარტიო.
85. ჯუმბერ კოპალიანი — 1939 წ. ისტ. მეცნ. კანდ. ი. ჭავჭავაძის საზ.
86. მერაბ კოპლატაძე — 1955 წ. ეკონომისტი, ერ. დემ. პარტია.
87. ვახუშტი კოტეტიშვილი — 1936 წ. ფილოლოგიურ მეცნ. დოქტორი, უპარტიო.
88. რაულ კუპრავა — 1946 წ. დოცენტი, ი. ჭავჭავაძის საზ.
89. არჩილ კუპრეიშვილი — 1969 წ. მუსიკოსი, ერ. დემ. პარტია.
90. ჯონი ლატარია — 1945 წ. მუსიკათმცოდნე, ი. ჭავჭავაძის საზ.
91. თემურ ლიპარტელიანი — 1964 წ. ინჟინერი, საქ. დემ. პარტია.
92. თემურ ლომაია — 1947 წ. ექიმი, მედიცინის მეცნ. კანდ. ი. ჭავჭავაძის საზ.
93. მერაბ მამარდაშვილი — 1932 წ. ფილოსოფოსი, პროფესორი, თბილისის პოლიტ. კლუბი.
94. ნუკრი შამუგიაშვილი — 1944 წ. სცენარისტი, უპარტიო.
95. მერი მარკოზია — 1958 წ. მეთოდისტი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
96. თემურ მასხულია — 1962 წ. სტუდენტი, უპარტიო.
97. თამაზ მაყაშვილი — 1958 წ. პედაგოგი, ერ. დემ. პარტია.
98. აკაკი მაჭავარიანი — 1965 წ. ინჟინერი, საქ. სახ. აღდგ. პარტია.
99. ირაკლი მაჭავარიანი — 1954 წ. ენათმეცნიერი, დემოკრ. სახ. ფრონტი.
100. სიმონ მაჭავარიანი — 1943 წ. იურისტი, სკკპ.
101. კარლო მაჭარაშვილი — 1924 წ. ფილოლოგი, პროფესორი, სკკპ.
102. ტარიელ მახარაძე — 1951 წ. ფილოლოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
103. გიორგი მგალობლიშვილი — 1964 წ. თეატრმცოდნე. საქ. დემ. პარტია.
104. ლევან მესხი — 1955 წ. ფარმაცევტი, წმ. ილია მართლის საზ.
105. ვაჟა მთავრიშვილი — 1950 წ. ინჟინერი, საქ. მოქ. ლიგა.
106. აბესალომ მიქელაძე — 1962 წ. ფილოლოგი, ი. ჭავჭავაძის საზ.
107. რუსლან მიქაბერიძე — 1939 წ. მსახიობი, უპარტიო.
108. მურმან მიქაბერიძე — 1947 წ. ინჟინერი, წმ. ილია მართლის საზ.
109. ვალერი მურჯიკნელი — 1966 წ. ინჟინერი, საქ. დემ. პარტია.
110. კობა მშვილდაძე — 1962 წ. მეტალურგი. საქ. დემ. პარტია.
111. ნანა მჭედლიძე — 1926 წ. კინორეჟისორი, უპარტიო.
112. დავით მჭედლური — 1947 წ. მწერალი, უპარტიო.
113. გელა ნიკოლაიშვილი — 1958 წ. ისტორიკოსი, ი. ჭავჭავაძის საზ.
114. ოთარ ნოდია — 1929 წ. ფილოლოგიურ მეცნ. კანდ. უპარტიო.
115. დავით ონანიშვილი — 1963 წ. ინჟინერი, საქ. სახ. აღდგ. პარტია.
116. თორნიკე ონიანი — 1962 წ. ინსტრუქტორი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
117. მერაბ პაიჭაძე — 1959 წ. პედაგოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
118. მალხაზ პატარაია — 1962 წ. ისტორიკოსი, რუსთაველის საზ.
119. ზაზა პატარიძე — 1963 წ. ფიზიკოსი, ერ. დემ. პარტია.
120. გიორგი ჟორჟოლიანი — 1954 წ. ისტ. მეცნ, კანდ. თავისუფალ დემოკრ. კავშირი.
121. ვიქტორ რცხილაძე — 1939 წ. ისტორიკოსი, წმ. დავით აღმაშენებლის ქრისტ. კავშირი.
122. ვაჟა საგანელიძე — 1951 წ. ინჟინერი, საქ. დემ. პარტია.
123. ირინა სარიშვილი — 1963 წ. ფილოლოგი, ერ. დემ. პარტია.
124. თეიმურაზ საყვარელიძე — 1961 წ. ეკონომისტი, ერ. დემ. პარტია.
125. რევაზ საყვარელიძე — 1960 წ. ექიმი, ერ. დემ. პარტია.
126. მარინე სვანიძე — 1961 წ. პედაგოგი, საქ. სახ. პარტია.
127. სოსო სირაძე — 1959 წ. გეოლოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
128. გიორგი სიხარულიძე — 1954 წ. ფილოლოგი, საქ. სახ. პარტია.
129. ზაზა სიხარულიძე — 1960 წ. ფილოლოგი, საქ. სახ. პარტია.
130. თეიმურაზ სუმბათაშვილი — 1942 წ. მხატვარი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
131. ვახტანგ ტალახაძე — 1955 წ. ინჟინერ-ფიზიკოსი, საქ. დემ. პარტია.
132. ვასილ ტალახაძე — 1958 წ. ექიმი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
133. რევაზ ტომარაძე — 1951 წ. ეკონომისტი, ერ. დემ. პარტია.
134. ირაკლი ტორონჯაძე — 1965 წ. მეტალურგი, ერ. დემ. პარტია.
135. მარინე ტოტოჩავა — 1962 წ. ექიმი, ი. ჭავჭავაძის საზ.
136. გენადი უჩუმბეგაშვილი — 1959 წ. ინჟინერი, საქ. დემ. პარტია.
137. გერმანე ფაცაცია — 1951 წ. ფილოსოფიურ მეცნ. კანდ. სკკპ.
138. თორნიკე ფიფია — 1955 წ. ინჟინერ-ფიზიკოსი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
139. თემურ ფიფია — 1958 წ. ფილოსოფიურ მეცნ. კანდ. უპარტიო.
140. მორის ფოცხიშვილი — 1930 წ. პოეტი, უპარტიო.
141. ბესარიონ ფურცელაძე — 1953 წ. პედაგოგი, ერ. დემ. პარტია.
142. ირაკლი ქადაგიშვილი — 1962 წ. სტუდენტი, ერ. დემ. პარტია.
143. სოსო ქარქაშაძე — 1952 წ. ინჟინერი, ერ. დემ. პარტია.
144. მამუკა ქაჯაია — 1952 წ. პედაგოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
145. ზურაბ ქელეხაშვილი — 1966 წ. მსახიობი, საქ. სახ. პარტია.
146. რამაზ ქოჩორაძე — 1954 წ. ეკონომისტი, საქ. სახ. პარტია.
147. მიხეილ ქურდიანი — 1953 წ. ენათმეცნიერი, ი. ჭავჭავაძის საზ.
148. ტარიელ ღვინიაშვილი — 1960 წ. საქ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგ. (სეგო).
149. ჯანსუღ ღვინჯილია — 1940 წ. ისტორიკოსი, ფილოლოგი, უპარტიო.
150. ალეკო ღონღაძე — 1958 წ. მხატვარი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია,
151. მერაბ ღოღაძე — 1951 წ. ინჟინერი, წმ. ილია მართლის საზ.
152. გელა ღუნწკიძე — 1962 წ. ინჟინერი, საქ. დემ. პარტია.
153. ლევან ყენია — 1965 წ. ინჟინერი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
154. ვახტანგ ყუფუნია — 1949 წ. ექიმი, ერ. დემ. პარტია.
155. ავთანდილ შაქულაშვილი — 1957 წ. მექანიკოსი, წმ. ილია მართლის საზ.
156. თენგიზ შარმანაშვილი — 1963 წ. ფილოლოგი, საქ. დემ. პარტია.
157. ლუიზა შაკიაშვილი — 1942 წ. რეჟისორი, უპარტიო.
158. მერაბ შარაშენიძე — 1964 წ. არქიტექტორი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
159. ლევან შენგელია — 1963 წ. ბიოლოგი, ერ. დემ. პარტია.
160. ლევან შოშიაშვილი — 1969 წ. სტუდენტი, საქ. დემ. პარტია.
161. მაყვალა ჩახვაშვილი — 1949 წ. ფილოლოგი, საქ. დემ. პარტია.
162. გურამ ჩახვაძე — 1961 წ. ეკონომისტი, ერ. დემ. პარტია.
163. გურამ ჩიჩუა — 1932 წ. მხატვარი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
164. თამარ ჩხეიძე — 1960 წ. ისტორიკოსი, ი. ჭავჭავაძის საზ.
165. რეზო ჩხეიძე — 1926 წ. კინორეჟისორი, უპარტიო.
166. მამუკა ცაგარელი — 1965 წ. ინჟინერი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
167. თამაზ ცაკაშვილი — 1961 წ. ინჟინერი, წმ. ილია მართლის საზ.
168. ზურაბ ცინაძე — 1960 წ. ზეინკალ-მემონტაჟე, ერ. დემ. პარტია.
169. ზურაბ ცინცაძე — 1940 წ. ისტ. მეცნ. [illegible]შვილის საზ.
170. სიმონ ცისკაძე — 1951 წ. პედაგოგი, უპარტიო.
171. ალეკო ცუკილაშვილი — 1966 წ. ინჟინერი, ი. ჭავჭავაძის საზ.
172. გოჩა ცუცქირიძე — 1964 წ. ინჟინერ-ფიზიკოსი, საქ. მოქ. ლიგა.
173. გიორგი ცხვედაძე — 1956 წ. მსახიობი, საქ. სახ. აღდგ. პარტია.
174. გიორგი ძნელაძე — 1959 წ. ინვალიდთა ფიზკ. სპ. ფედერაციის პრეზიდენტი, საქ. სახ. პარტია.
175. ირაკლი წერეთელი — 1961 წ. ფილოლოგი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
176. თამაზ წერეთელი — 1953 წ. ინჟინერი, ერ. დემ. პარტია.
177. მერაბ წერეთელი — 1958 წ. პედაგოგი, ერ. დემ. პარტია.
178. თამაზ წივწივაძე — 1941 წ. ჟურნალისტი, უპარტიო.
179. ნიკო ჭავჭავაძე — 1923 წ. ფილოსოფოსი, მეც. აკადემიის წევრ-კორ. ი. ჭავჭავაძის საზ.
180. გიორგი ოთარის ძე ჭანტურია — 1959 წ. ისტორიკოსი, ერ. დემ. პარტია.
181. გიორგი არტემის ძე ჭანტურია — 1961 წ. აგრონომი, ერ. დემ. პარტია.
182. დავით ჭელიძე — 1966 წ. ინჟინერი, ერ. დემ. პარტია.
183. ოთარ ჭილაძე — 1933 წ. მწერალი, უპარტიო.
184. ვასილ ჭყოიძე — 1962 წ. აგრონომი, საქ. დემ. პარტია.
185. კო[illegible] ხაბაზი — 1965 წ. ინჟინერი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
186. გიორგი ხაინდრავა — 1956 წ. კინოოპერატორი, უპარტიო.
187. ივლიანე [illegible]ხაინდრავა — 1952 წ. ქიმიკოსი, [illegible] თავისუფალ დემოკრ. კავ.
188. ლაშა ხეცურიანი — 1965 წ. ფილოლოგი, ერ. დემ. პარტია.
189. ზურაბ ხოჭოლავა — 1931 წ. პედაგოგი[illegible]
190. ვასილ ხომერიკი — 1966 წ. ხელოვნებათმცოდნე, [illegible]ერ. დამოუკ. პარტია.
191. ვალერი ხუროძე — 1955 წ. ეკონომისტი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
192. ვახო ხუხუნაიშვილი — 1964 წ. ბიოლოგი, ერ. დემ. პარტია.
193. ალექსანდრე ჯავახიშვილი — 1920 წ. ისტორიკოსი, მეცნ. აკად. წევრ-კორ. პოლიტ. კლუბი.
194. დემურ ჯალაღონია — 1955 წ. ფილოსოფოსი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
195. დავით ჯანელიძე — 1955 წ. მშენებელი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
196. რამაზ ჯაფარიძე 1958 წ. გეოლოგი, ერ. დემ. პარტია.
197. მურმან ჯგუბურია — 1938 წ. მწერალი, უპარტიო.
198. ჯანო ჯიშკარიანი — 1948 წ. აგრონომი, საქ. ერ. დამოუკ. პარტია.
199. ალექსანდრე ჯიქია — 1918 წ. მწერალი, ერ. დემ. პარტია.
200. მამუკა ჯორბენაძე — 1957 წ. ინჟინერი, საქ. მოქ. ლიგა.

# საქართველოს ეროვნული კონგრესის საორგანიზაციო კოლეგიის 1990 წლის 29 ოქტომბრის სხდომის ანგარიში

სხდომას საორგანიზაციო კოლეგიის 21 წევრიდან ესწრებოდა 15. ბ-ნმა ი. წერეთელმა — წინა სხდომის თავმჯდომარემ, მოახსენა შეკრებილთ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ და წარმოადგინა 28 ოქტომბრის სხდომის ანგარიში.

ბ-ნმა ი. ბათიაშვილმა წარუდგინა დამსწრეთ ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შედეგები. 29 ოქტომბერს ტელევიზიით ნაჩვენები იქნება ეროვნული კონგრესის პირველი სხდომის ვიდეოჩანაწერი. II საგანგებო სხდომის შესახებ რეპორტაჟის ეთერში გასვლის საკითხი გადაწყდება ფირის მონტაჟის შემდეგ. ამ და ტელევიზიასთან ურთიერთობის სხვა საკითხების მოგვარება დაევალათ ბ-ნებს ი. წერეთელს, ი. ბათიაშვილსა და ვ. მთავრიშვილს.

ბ-ნებმა: გ. კობახიძემ და გ. თვალავაძემ საორგანიზაციო კოლეგიას მოახსენეს ბ-ნ გ. ჭანტურიას დაჭრასთან დაკავშირებული საბუთების შეგროვებასა და მასალების მომზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. მთაწმინდის რაიონის პროკურატურის გამომძიებელთან შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ბ-ნ გ. ჭანტურიას მიერ ჩვენებებისა და გამოძიებისათვის საჭირო მასალების წარდგენის შემთხვევაში გამოძიება ბოლომდე იქნება მიყვანილი. ბ-ნებს: გ. კობახიძესა და გ. თვალავაძეს დაევალათ მოამზადონ შესაბამისი მასალები საგაზეთო პუბლიკაციებისათვის და ტელეგადაცემისთვის. ბ-ნ გიორგი ჭანტურიას დაჭრასთან დაკავშირებული ფაქტების გამოქვეყნება, თვითმხილველთა და ექიმის ჩვენებითურთ, ფოტომასალებითა და დანაშაულის ადგილის სქემით გამოსაქვეყნებელია გაზეთებში „თბილისი“, „ახალგაზრდა ივერიელი“ და „მოლოდიოჟ გრუზიი“.

ბ-ნმა ი. ქადაგიშვილმა მოახსენა საორგანიზაციო კოლეგიას, რომ შეიქმნა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ბოლნის-კუმისის გზაზე მომხდარ ინციდენტს, აღბეჭდავს ვიდეოფირზე მიღებულ ინფორმაციას და წარუდგენს ანგარიშს საორგანიზაციო კოლეგიას. მან აგრეთვე ილაპარაკა 30 ოქტომბერს „პოლიტპატიმრის დღის“ აღნიშვნასთან დაკავშირებული მიტინგის ორგანიზებაზე.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი სარედაქციო კოლეგიის შექმნისა, რომელიც გამოსაქვეყნებლად მოამზადებს კონგრესის I და II საგანგებო სხდომებზე მიღებულ დოკუმენტებს, აგრეთვე საორგანიზაციო კოლეგიის სხდომების ანგარიშებს, მოამზადებს მასალებს კონგრესის მორიგი სხდომისათვის. სარედაქციო კოლეგია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: თ. ფიფია, ი. ხაინდრავა, ი. სარიშვილი, ვ. მთავრიშვილი, გ. კობახიძე, თ. შარმანაშვილი.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას წინადადება მიეცა მოავლინოს თავისი წარმომადგენელი სარედაქციო კოლეგიაში. სარედაქციო კოლეგია თვით დანიშნავს თავის სხდომებს საჭიროების მიხედვით.

განხილულ და რედაქტირებულ იქნა ეროვნული კონგრესის I სხდომაზე მიღებული მიმართვა ქართველი ერისადმი; ბ-ნი ი. წერეთელი გადასცემს მიმართვის ტექსტს პრესას. მიმართვა მსოფლიოს ყველა ერის, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი გადაეცა სარედაქციო კოლეგიას, რომელმაც დაივალა საბოლოო სახე მისცეს ამ დოკუმენტს სარედაქციო კოლეგიის შემდეგ სხდომაზე, რომელიც დაინიშნა 31 ოქტომბრისათვის, 12 საათზე.

ეროვნული კონგრესის I სხდომაზე მიღებული რეზოლუცია 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ „პოსტ-ფაქტუმ“ გამოქვეყნებისათვის მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი და ჩაბარდება ეროვნული კონგრესის არქივს.

საორგანიზაციო კოლეგიამ დაწვრილებით განიხილა ბ-ნ ი. ქადაგიშვილის მიერ წარმოდგენილი მონახაზები ეროვნული კონგრესის მუშაობის რეგლამენტის შესახებ. ამ საკითხის თაობაზე, ასევე ეროვნული კონგრესის სტრუქტურებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა გაგრძელდება 6 ნოემბერს, 12 საათზე.

დღის წესრიგის პუნქტ „სხვადასხვაში“ განხილულ იქნა საკითხები ეროვნული კონგრესის ადგილსამყოფელის, მისი ტექნიკური აღჭურვილობის, კომისიების სამუშაო ოთახების შესახებ.

დამტკიცდა საორგანიზაციო კოლეგიის შემდეგი სხდომის დღის წესრიგი, ხოლო მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი გ. გოგბაიძე.



1 ნოემბერს თბილისში, სასტუმრო „აჭარის“ კონფერენცდარბაზში, სადაც მოთავსებულია საერთაშორისო პრესცენტრი, გაიმართა მორიგი პრესკონფერენცია.

ბრიფინგი გახსნა პრესცენტრის ხელმძღვანელმა დანიელ სიბაშვილმა. მოკლედ შეეხო რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების გაშუქებას, შემდეგ სიტყვა მისცა „მრგვალი მაგიდის“ სპიკერს ზვიად გამსახურდიას, რომელმაც უპასუხა ჟურნალისტთა მრავალ კითხვაზე.

**პაატა არჩვაძის ტექსტი და ფოტო.** (საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ ფოტოქრონიკა).

**სურათებზე:** 1-2: პრესკონფერენციის დროს.



## 1247200-ის არჩევანი ანუ 12 ბედნიერი რიცხვია

# საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების უმნიშვნელოვანესი მონაცემები

დღეს ყველაფერი ყველასათვის ნათელია: 1990 წლის 28 ოქტომბერი, კვირა, უთუოდ ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ თარიღად დარჩება მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში.

ამ დღეს გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები.

ეს იყო არაჩვეულებრივი, დაუვიწყარი, ერისა და ქვეყნის აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელი მოვლენა, რომლის შესახებ თანამემამულეთა და უცხოელთა, მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა გულახდილი აზრთა გაცვლა-გამოცვლა უკვე დაიწყო და ალბათ, არასოდეს დამთავრდება...

დიახ, ძვირფასო მკითხველო, თქვენ, ჩვენ, ყველანი, ისტორიული მოვლენის მოწმენი გავხდით, ამიტომ მისი ჭეშმარიტი შეფასებისათვის უმნიშვნელოვანესი მომენტების არდავიწყება გვმართებს.

ჯერ ერთი, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — უზენაესი საბჭოს არჩევნები ახალმიღებული კანონის შესაბამისად წარიმართა.

მეორე: არჩევნებში საბოლოოდ მონაწილეობდა თერთმეტი პოლიტიკური ძალა: 1. საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება“, 2. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, 3. საქართველოს კომუნისტური პარტია, 5. საარჩევნო ბლოკი, „თანხმობა“, მშვიდობა, აღორძინება“, 6. საქართველოს სახალხო პარტია. 7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება. 10. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი, 11. საარჩევნო ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“. 12. საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. 13. საქართველოს სახალხო ფრონტი და 14. საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო“.

მესამე: საქართველოს ტერიტორია ას ოცდახუთ საარჩევნო ოლქად და 3000 საარჩევნო უბნად დაიყო.

მეოთხე: არჩევნებში მონაწილე თითოეულმა პარტიამ (საარჩევნო ბლოკმა) ქვეყანას 140-დან 250-მდე დეპუტატობის კანდიდატი, ანუ ყველამ ერთად ორი ათასამდე კანდიდატი წარუდგინა.

გახსოვთ, ალბათ, საქართველოს და ქართველი ერის ფენომენის საუკეთესო მცოდნე პოეტმა ბრძანა — ყოველი ქართველი პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი ორგზის პოეტიაო. 9 აპრილის შემდეგ საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) მოვლენები ისე განვითარდა, ზემოთქმულში ყველგან სიტყვა პოეტის ნაცვლად უპრიანია სიტყვა „პოლიტიკოსის“ ჩასმა. ჩვენებური კაცის რეალური პორტრეტი ასე უკეთ დაიხატება...

მაშ ასე, უკანასკნელი ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ჟორდანიამ გამოაცხადა, თერთმეტ საარჩევნო პარტიას (ბლოკს) შორის ხმების საჭირო პროცენტი ცხრამ ვერ მოაგროვა, და პირიქით, საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ მიიღო თოთხმეტჯერ მეტი ხმა: 1.247.200, ანუ საერთო ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობის 53,95 პროცენტი — 81 მანდატი; ხოლო საქართველოს კომპარტიამ — მიიღო 683.742 ხმა, 29,57 პროცენტი — 44 მანდატი. ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, საქართველოს უზენაესი საბჭო ჩამოყალიბებულია.

ამჯერად მეტს ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე ყოველგვარი კომენტარი უთუოდ დააბნევს ჩვენს მკითხველს; არადა ასეთი ფაქტები განვლილ ორ დღეში ორჯერ უკვე იყო, ცენტრალურმა ტელევიზიამ — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახურმა გადასცა დეზინფორმაცია — პროვოკაციული ვარაუდი, თითქოს არჩევნებში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ წარმატება შეიძლება გახდეს საქართველოში სამოქალაქო ომის მიზეზი და ა. შ.

ამჟამად არის ორი ადგილი, საიდანაც არჩევნების შესახებ ყველაზე უტყუარი ცნობების აღება შეიძლება; აი, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ჩიტაძის 6). აქ ადრე დილიდან გვიან საღამომდე დაძაბულად მუშაობენ, და არა მხოლოდ კომისიის წევრები და არჩევნებში მონაწილე პარტიების (ბლოკების) წარმომადგენლები, არამედ, ელექტროგამომთვლელი მანქანები, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კანონის მიხედვით ხუთ დღეში უნდა დამუშავდეს და ერსა და ქვეყანას მოხსენდეს უტყუარი ინფორმაცია პირველი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ...

და კიდევ, — სასტუმრო „აჭარა“ კონფერენც-დარბაზი. არჩევნების მეორე დღიდან დაწყებული, თითქმის ყოველდღე, 16 საათიდან, საერთაშორისო პრესცენტრში, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებით რომ შეიქმნა, იმართება პრესკონფერენციები; დღეისათვის საქართველოს და უცხოეთის კორესპონდენტების თუ პარტიების (ბლოკების) წარმომადგენელთა წინაშე გამოვიდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, წევრები და, რა თქმა უნდა, გამარჯვებული ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ ლიდერი ბატონი ზვიად გამსახურდია და მეორე ადგილზე გამოსული საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი ლიდერი ბატონი ვაჟა გურგენიძე.

არჩევნები დამთავრდა, არჩევნები გრძელდება: კვირას, 11 ნოემბერს დანიშნულია ხელახალი კენჭისყრა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების იმ 59 საარჩევნო ოლქში, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ორზე მეტი კანდიდატი, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ დააგროვა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი, ამავე დღეს დანიშნულია არჩევნების მეორე ტური 7 საარჩევნო ოლქში, რომლებშიც არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა.

**გვანჯი მანია**

# ვითომ ნათელია მიზანი?

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 16 ივნისის ნომერში აკადემიკოსმა ვალერიან მეტრეველმა გამოთქვა აზრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აღდგენის შესახებ, 28 ოქტომბერს კი დაიბეჭდა ინტერვიუ — „კიდევ ერთი ეროვნული აკადემია!“, გვაუწყა ახალი აკადემიის შექმნა. ხოლო 2 ნოემბერს იმავე გაზეთში გამოქვეყნდა 31 ოქტომბერს გამართული სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი კრების მიმართვა საქართველოს აგრარიკოსი მეცნიერებისადმი.

აქვე უნდა ითქვას, ჩვენს ფართო საზოგადოებაში, ისევე როგორც სამეცნიერო წრეებში, აზრი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენის მიზანშეწონილობაზე არაერთგვაროვანია. სახელდობრ, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა თემურ ღლონტმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ დადგა ჟამი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალური განყოფილების გაუქმებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების გაძლიერებისა (იხილე: „სოფლის ცხოვრება“, 5. 03. 1990).

საგულისხმოა, რომ, არც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მიაჩნია მიზანშეწონილად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენა.

დაბოლოს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აზრით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შექმნა იქნება კიდევ ერთი ახალი რგოლი არსებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისა.

ყოველივე ზემოთქმულს ეხმაურება საქართველოს მწვანეთა მოძრაობის სოფლის მეურნეობის კომისიის წევრის პროფესორ **მირიან ბვრიტიშვილის** სტატია, რომელიც საქართველოს მწვანეებმა ჯერ კიდევ ზაფხულში შემოგვთავაზეს.

ჩვენი სოფლის მეურნეობის გასაჭირს ყველა ხედავს, კარგა ხანია ამის შესახებ ბევრი სიმართლე იწერება და ამიტომ ამაზე ყურადღების კვლავ გამახვილება ზედმეტად მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ, რომ საქმეს ვერ უშველა იმ ე. წ. ექსპერიმენტებმა, სიახლეებმა, კონცეფციებმა, პროგრამებმა, ორგანიზაციულ-სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რომლებიც გასრულდა მმართველობის ისეთი „ეფექტური“ ფორმით, როგორიცაა აგრომრეწვი მთელი თავისი ატრიბუტიკით, მათ შორის მეცნიერული უზრუნველყოფის ცენტრით, რომელიც ამავე დროს არის საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალური განყოფილება.

ბუნებრივია, პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც სოფლის მეურნეობაში მოხდა, ეკისრება იმათ, ვინც ამ სტრუქტურების შექმნით პროდუქტების სიუხვეს გვპირდებოდა მომავალში. მაგრამ ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ ვინმე გავასამართლოთ, ახლა ცოდო-ბრალის აწონვის დრო არაა, მით უფრო, რომ ისეთ უკუღმართ დროში მოგვიხდა ცხოვრება და საქმიანობა, რომ ცოდვილნი ვართ ყველა, ზოგი მეტად, ზოგიც ნაკლებად. ამის გაცნობიერება და აღიარება ყველა ჩვენგანის და მთლიანად საზოგადოების თვითგანწმენდის აუცილებელი პირობაა. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების „აღმავლობისა“ და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის „დაჩქარების“ მესვეურებს, ვინც დღესაც ცდილობენ საკუთარი ცოდო-ბრალი სხვას გადააბრალონ და მდგომარეობა ისე წარმოადგინონ, თითქოს მათ არაფერი ესაქმებოდათ „წარსულ წლებში აგრარული მეცნიერების მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდით მართვასთან“, „არაკომპეტენტურ დიქტატთან“, „განუწყვეტლივ, გაუმართლებელ ექსპერიმენტებთან“ და ა. შ.

საქმე ეხება „წინადადებას, რომელიც სულ ახლახან შეიმუშავა სოფლის მეურნეობის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის რეგიონალური განყოფილების პრეზიდიუმმა და ითვალისწინებს 1961 წელს ხრუშჩოვის განკარგულებით გაუქმებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აღდგენას“. ეს სიტყვები ციტირებულია გაზეთ „კომუნისტის“ 1990 წლის 16 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუდან („როცა მიზანი ნათელია“), რომელიც ეკუთვნის ზემოთ დასახელებული რეგიონალური განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს აკადემიკოს ვ. მეტრეველს.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს საკითხი მოსინჯული, აპრობირებული და ვიზირებულია სხვადასხვა, მათ შორის საკავშირო, დონეზე. საკითხს დადებითად გამოეხმაურა გაზეთი „სოფლის ცხოვრებაც“ (1990 წ. 22 ივნისი) რუბრიკით „სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია უნდა აღდგეს“.

მთავარ არგუმენტად ბატონი ვ. მეტრეველი მიიჩნევს იმას, რომ თითქოს ჩვენს რესპუბლიკას „ჰყავს ბევრი და ძლიერი სამეცნიერო კადრი“. და შემდეგ: „ამის დასტურად საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ რესპუბლიკის აგრარულ მეცნიერებასა და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სკოლებში დასაქმებულია 130 მეცნიერებათა დოქტორი და 1700 მეცნიერებათა კანდიდატი“, რომ „ეს ისეთი ძალაა, რომელსაც შეუძლია გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც კი ჩვენი რესპუბლიკის აგრარული კომპლექსის წინაშე დგას“.

რით არ ჰგავს ყოველივე ეს უძრაობის პერიოდის დროინდელ საზეიმო გამოსვლებს?! ბარემ ისიც ეთქვა, რომ ამ მაჩვენებლებით საქართველო სჯობნის მსოფლიოს ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას და მაშინ მთლად დამაჯერებელი გახდიდა იმ პოზიტიურ შეფასებას, რომელსაც აკად. ვ. მეტრეველი თავისივე ხელმძღვანელობით მომუშავე რეგიონალურ განყოფილებას აძლევს დაუმსახურებლად.

განა შეიძლება იმის დამალვა, რომ ჩვენში აგრარული მეცნიერებაც ისეთივე კრიზისულ მდგომარეობაშია, როგორც მთელი აგროსამრეწველო კომპლექსი. დავიჯეროთ, რომ აგრონომიული მეცნიერების სათავეში მდგომმა არ იცის ის, რაც ყველასათვის ცნობილია და საკამათო არც არის? მაინც მიკერძოებად რომ არ ჩაგვეთვალოს, მოვიყვანთ აკადემიის აღდგენის მომხრის პროფ. ო. ქეშელაშვილის სიტყვებს: „ბევრგან თქმულა და ხშირადაც დაწერილა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა კვალიფიციური, უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერთა დიდ შიმშილს განიცდის, თითზე ჩამოსათვლელია ე. წ. „აქტიურ ასაკში“ მყოფი დოქტორები“, უფრო მეტიც, მიზეზთა და მიზეზთა გამო, მათ შორის რეგიონალური განყოფილების ხელშეწყობით მთელი რიგი აგრობიოლოგიური დარგები და მიმართულებები როგორც კვლევის, ისე სწავლების სფეროში ან სულ უპატრონოდაა ან საეჭვო კვალიფიკაციის ადამიანების ამარა დარჩა (მაგალითები? — რამდენიც გნებავთ).

მთელ ინტერვიუს წითელ ზოლად გასდევს დაპირების, მომავლისათვის აღთქმული კარგი ცხოვრების სინდრომი. ესეც ძველებური მოტივებია, — ჩვენ ხომ უკეთესი მომავლისათვის ვიბრძოდით დღენიადაგ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ახლა ნამდვილად სხვა დროა და საზოგადოებისათვის თვალის ახვევას ყავლი გაუდის და მეცნიერთა მხრიდან სამომავლო ვექსილების გაცემას პროგნოზის პრინციპები უნდა ედოს საფუძვლად. პროგნოზის საფუძველი წარსულში მომხდარი მოვლენებისა და ფაქტების მიზეზშედეგობრივი ანალიზია. წარსული წლებისა და დღევანდელი მდგომარეობამ მან[illegible]

წინსვლის, არამედ უკანსვლის ტენდენცია სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ვიყოთ გულახდილნი, — განა რამე შეიცვლება თუ ვიტყვით, რომ ცენტრი, რომელსაც მომავალში აკადემია დაერქმევა, იქნება შინაარსით ახალი „აკადემიური აგროსამეცნიერო კონცერნის ტიპის სამეცნიერო ცენტრი“.

ეს „კონცერნი“ რაღაა? ნუთუ არავინ უფიქრდება იმას, რომ ამით კიდევ უფრო მეტი ცენტრალიზაცია გამოდის. ცენტრალიზაცია ასე თუ ისე ასატანია და ნაკლები უბედურება, როცა ცენტრში კომპეტენტური და საქმის გულშემატკივარი ადამიანები სხედან. ამასთან დაკავშირებით ფრიად სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ აგრომრეწვის მეცნიერული უზრუნველყოფის ცენტრის მმართველობის ზედა ფენაში, აკად. ვ. მეტრეველის ჩათვლით, ერთი აგრონომიც კი არ ფიგურირებს. ამ დროს კვლავ მიმდინარეობს მისი „გაძლიერება“ დეაგრონომიზაციის ხაზით ე. წ. განთავისუფლებული რაიკომის მდივნებით. საკითხავია, ვის ხარჯზე უნდა იარსებოს „აგროსამეცნიერო კონცერნმა“? იქნებ ის სახსრები აქვთ მხედველობაში, რომლებიც ცენტრის საკმარისზე მეტად გაბერილ სამმართველო აპარატის შენახვას ხმარდება და მძიმე ტვირთად აწევს რესპუბლიკის ისედაც გაღარიბებულ ბიუჯეტს.

ამას უნდა დაემატოს დღევანდელი უაღრესად არასტაბილური, დაძაბული ვითარება და არანაკლებ მნიშვნელოვანი, უფრო ზუსტად, არსებითი არგუმენტი, კერძოდ „აქტიური ასაკის“ მაღალი კვალიფიკაციის კადრების, ე. ი. იმ ძალის არასაკმარისი რაოდენობა, რომელმაც უნდა შეადგინოს აკადემიის საძირკველი. ლავუაზიეს გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, იცით, ასეთი მასალით რა გამოვა? — აკადემიით შექმნით აკადემიკოსებს და არა პირიქით. ეს იქნება აკადემია ფორმალურად და არა შინაარსით, როგორც, მაგალითად, აკად. ვ. მეტრეველისა და მისი საქმის გამგრძელებლების მიერ საგრძნობლად დეაგრობიოლოგიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბატონ ალან ჩოჩიევს

**გამარჯობათ,** ბატონო ალან!

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" წავიკითხე გაზეთ „ირ"-იდან გადმოთარგმნილი თქვენი ინტერვიუ და სურვილი გამიჩნდა ორიოდე სიტყვით გამოგეხმაუროთ. თქვენს შესახებ ადრეც მსმენია, „ზნიფში" დაბეჭდილ თქვენს წერილსაც ვიცნობ და ერთგვარი წარმოდგენა მაქვს თქვენზე, როგორც „ადამონ ნიხასის" ლიდერზე, რომელიც ეძებს გზებს თავისი მშობელი ხალხის, ოსების მომავლის გასაუმჯობესებლად. იქნებ არცკი დამიჯეროთ, ეგებ ბევრმა სხვამაც ეჭვით შეხედოს ჩემს ნათქვამს, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ მშობელი ერის ბედზე მზრუნველი ყოველი ადამიანი ჩემში სიმპათიებს იწვევს. თქვენც მათ შორის ხართ და ეს დებულება ამიტომ თქვენზეც ვრცელდება. დასანანია, რომ პირადად არ გიცნობთ, ჩვენ ერთმანეთს არასდროს შევხვედრივართ, თორემ შესაძლოა, ჩვენს საუბარს კეთილი გავლენა მოეხდინა თქვენს აზრთა დინებაზე და ეგებ თავიდან აგეცილებინათ ის ცთომილებანი, რომელიც თქვენს პოზიციას, საერთოდ, და ზემოაღნიშნულ ინტერვიუს, კერძოდ, ასე ძლიერ აჩნია.

ბატონო ალან, ზემოთ მოგახსენეთ, რომ მშობელ ერზე მზრუნველი ყველა ადამიანი სიმპათიას იმსახურებს-მეთქი. მაგრამ აქ ერთი მთავარი პრინციპი უნდა იქნეს დაცული: ზნეობრივი თვალსაზრისით გამართლებულია თუ არა ის მოქმედება, რაც ამ ზრუნვისას ხორციელდება? უზნეო გზით შეუძლია კაცს თავისი ოჯახი ორიოდე დღეში გაამდიდროს, ფუფუნებაში აცხოვროს, მაგრამ გამართლებული იქნება ასეთი მოქმედება? სხვას რომ წაართვას და თავის ოჯახს მიაკუთვნოს სხვისი ქონება და სიმდიდრე, ასეთი კაცის მოქმედება მოსაწონი იქნება? დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ზნეობრივი პიროვნება უნდა იყოთ და ასეთი უზნეობა, მე რომ მაგალითისათვის მოვიტანე, თქვენც აღგაშფოთებთ. ჰოდა, რაც ოჯახზე „მზრუნველი" კაცის შესახებ ითქვა, იგივე უნდა გავიმეოროთ ერისა და მასზე მზრუნველი ადამიანის შესახებ, რადგან ზნეობრიობის გარეშე არც სიკეთეა და არც ბედნიერება, არც სიხარული და არც წარმატება. მეტსაც გეტყვით, ყველა უზნეო მოქმედება საბოლოოდ განწირულია, რადგან მას კაციც გმობს და ღმერთიც.

თქვენს ინტერვიუში რომ ბრძანებთ, გეორგიევსკის ხელშეკრულების დადებისას საქართველოს სახელმწიფო აღარ არსებობდა და იგი სპარსეთის პროვინცია იყოო, ნუთუ მართლა გჯერათ თქვენი ნათქვამი? უბრალო ლოგიკას მაინც რად არ უკვირდებით, ბატონო ალან? გეკითხებით, დასახელებული ხელშეკრულება რუსეთმა სპარსეთს დაუდო? ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ხელს რომ აწერს ამ ხელშეკრულებაზე, ის სპარსეთის პროვინციის გუბერნატორი იყო? ნუთუ ხელშეკრულების ტექსტი არ წაგიკითხავთ და ისე, ჰაიჰარად, ლაპარაკობთ? იქ ხომ წერია, რომ საქართველოში გაგრძელდება ბაგრატიონთა მეფობა, რუსეთი არ ჩაერევა საქართველოს საშინაო საქმეებში და ა. შ. და ა. შ. ეკატერინე მეორეს სპარსეთის პროვინციის გუბერნატორთან რომ დაედო ხელშეკრულება (ამას კი სპარსეთის შაჰი არ დაუშვებდა), მაშინ ამ დოკუმენტის ტექსტი განა ასეთი იქნებოდა? ასეთი დებულებები მასში ჩაიწერებოდა? ეს ხომ ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება იყო, ბატონო ალან! მთელი რუსეთის, მისი ისტორიკოსებისა და მსოფლიოს ყველა მეცნიერისათვის მუდამ უდავო იყო, რომ 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულება იყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და ახლა თქვენ რა საფუძველზე ან რა მიზნით აყენებთ მას ეჭვის ქვეშ? უცოდინრობას ვერ დაგწამებთ, რადგან მეცნიერის ხარისხით ხართ აღჭურვილი, მაშ რას ემსახურება თქვენი ასეთი ინტერპრეტაცია? მიხვედრით კი ვხვდები ამის მიზეზს, მაგრამ დაჯერე[illegible] ისტორიას არ უნდა ამახინჯებდეთ. ამას ზნეობა მოითხოვს. მართლაც ისე რომ ყოფილიყო საქმე, ძლიერ სპარსეთს სუსტი საქართველო მართლაც თავის პროვინციად რომ ექცია ძალმომრეობის გზით, განა მაშინაც კი შეიძლება გაამართლოთ ვინმეს მოქმედება, თუ იგი წაქცეულ კაცს, ძლიერისაგან წაქცეულს, კიდევ ერთ წიხლს ჩააზელს ფერდებში? ესეც ხომ უზნეობა იქნება, ბატონო ალან, ჰა?

ისტორია გვიჩვენებს, რომ ტანჯულ საქართველოს, ხან მონღოლთაგან დასუსტებულს, ხან ხონთქრისაგან ან შაჰისაგან შევიწროებულს, მეზობელი პატარა ხალხები, ჩრდილოკავკასიელი ჩვენი მეზობლები, ნაცვლად დახმარებისა და გვერდში ამოდგომისა, მოსვენებას უკარგავდნენ და ძლიერთაგან ძირს დაცემულ ჩემს სამშობლოს ძიძგნიდნენ. ყოველივე ეს მძაფრად დახატა მე-18 საუკუნის ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა. ასეთი იყო ლეკიანობა ჩვენს ისტორიაში, ასეთივე იყო თქვენი წინაპარი ოსების საუგო მოქმედება, როცა მათ გორის ხელში ჩაგდება განიზრახეს და ჩვენმა მეფემ, გიორგი ბრწყინვალემ, მათ კუდით ქვა აკრეფინა. ბატონო ალან, ხომ უზნეობაა წაქცეულზე მისევა და მისი ჯიჯგვნა? მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ალანთა ჩამომავალს, ვისაც სახელიც მშვენიერი გქვიათ, ვინც წინაპართა სახელს ატარებს, რაინდობად და კეთილშობილებად არ უნდა მიგაჩნდეთ წაქცეულის გალახვა.

თქვენს ინტერვიუში ბრძანებთ, რომ ძველად თქვენს ხალხს ოკეანედან ოკეანემდე ეჭირა ვრცელი ტერიტორიები. სამწუხაროა, რომ არ აზუსტებთ, რომელ ოკეანეებს გულისხმობთ, თორემ ხომ შეიძლებოდა გვეფიქრა, თითქოს მთელი მსოფლიო გეპყრათ. აგრეთვე არ აზუსტებთ, თუ ვის გულისხმობთ წინაპრებში. განა სკვითებს? კი მაგრამ, მაშინ რაღა ვუყოთ რუსებს, რომელთა ერთი პოეტი ამაყად აცხადებს: „Да, скифы мы!" რა საცილობელი გახადეთ, ბატონო ალან, სკვითობა, არ ფიქრობთ, რომ რუსები გაგინაწყენდებიან? ანდა იმის თქმა ხომ არ გწადიათ, რომ თქვენ და რუსებს საერთო წინაპრები გყავდათ სკვითების სახით?

ბატონო ალან (ისე მომწონს თქვენი სახელი, რომ ცთუნებას ვერ ვუძლებ, ხშირად არ გავიმეორო იგი), თქვენ რომ სკვითების სივრცეებს დღესაც მისტირით, თუმცა ეს ძალზე ძველი ამბავია და ისიც კი არ ვიცით, სკვითი ხართ, ალანი თუ ოსი, მაშ ქართველმა რა ქნას, როცა სულ რაღაც გუშინ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, ე. ი. 1921 წელს ქართულ დაბა ცხინვალში ოსების მხოლოდ ოთხი ოჯახი ცხოვრობდა და ისტორიულად მოკლე დროში ამ ქალაქში ოსთა უსწრაფესი მატების შედეგად ქართველები უმცირესობად იქცნენ? როგორ მოვიქცეთ, რას გვირჩევთ? ერთხელ მაინც პატიოსნად გვითხარით, ბატონო ალან, ქართველები შეესივნენ ოსებს და შეავიწროვეს ისინი, თუ მტერმორეული საქართველოს შეთხელებული მოსახლეობის ადგილებში ჩრდილოეთიდან გადმოვიდნენ ოსები და თანდათანობით დაიკავეს ქართველთა მიწები, საქართველოს ტერიტორია? ნუთუ არასოდეს დაგცდებათ სიმართლე და არ იტყვით, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ ოსებს ქართველებმა თავისი საცხოვრისი უწილადეს და შეიფარეს, მშიერი დააპურეს და უბინაოს თავშესაფარი მისცეს? განა ამის თქმა უხერხულია? განა ამის აღიარება სირცხვილია? ჩვენ ხომ თქვენგან უბრალო სიტყვიერ მადლობასაც არ მოვითხოვთ, მხოლოდ ის გვინდა, რომ სიმართლე თქვათ, დამპყრობლად და თქვენს შემვიწროებლად მაინც ნუ გამოგვიყვანთ. გაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებაო? უმადურობაც ხომ უზნეობა და საუგო საქციელია, ბატონო ალან?!

თქვენ ხომ იცით, რომ მონღოლთაგან შევიწროებულმა ალანებმა (ოსებმა) დონის სანახებიდან რომ გაიქცნენ, არა მარტო ჩრდილო კავკასიის ვიწრო ხეობებს შეაფარეს თავი, არამედ ბალკანეთსა და უნგრეთშიც ბევრი წავიდა. მე არსად წამიკითხავს და არცა მსმენია, უნგრეთში ჩასულმა ოსებმა მოითხოვეს ან შექმნეს იქ ავტონომია. რა ბედი ეწიათ იქ ჩასულ თქვენს წინაპრებს, ბატონო ალან? მე მართლა მაინტერესებს ამის გარკვევა, რადგან თუ სრული ასიმილაცია განიცადეს და იქ მათი კვალიც კი გაქრა, მაშინ მით უფრო მადლიერებით უნდა მოიხსენიებდეთ საქართველოს, რომელმაც ენა შეგინარჩუნათ, ტრადიციებიც, თქვენი ყველა ეროვნული ატრიბუტიც. რაც შეეხება დღევანდელ ერესეფესერე-ში მცხოვრებ ჩრდილო ოსეთის ხალხს, რა ბედშიც არის იგი, თქვენ ეს კარგად იცით. მათთან შედარებით სამხრეთ ოსეთის ხალხის მდგომარეობა სამოთხისებური რომ არის, ესეც ცხადია. აქ ქართველსაც უჭირს ხოლმე და ბუნებრივია, რომ ზოგჯერ ოსსაც გაუჭირდეს. მაგრამ ეს ხომ საერთო გასაჭირია და არა თქვენი ეროვნული ჩაგვრით გამოწვეული. განა ქართველები თქვენს სიძულვილს უნდა იმსახურებდნენ და არა პატივისცემასა და მადლიერებას, ბატონო ალან?

მე სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია თქვენი მეცადინეობა ოსთა სახელმწიფოებრიობის მოწესრიგებისათვის, მაგრამ სახელმწიფოს ტერიტორია ხომ უეჭველად უნდა ჰქონდეს? სად გულისხმობთ ოსეთის მომავალ რესპუბლიკას? ბატონო ალან, შებრალების გრძნობა თუ არ გაქვთ, სამართლიანობის გრძნობა ხომ მაინც უნდა გქონდეთ? რას ერჩით ქართველებს, მიწის წართმევას უპირებთ? ყოველნაირი წართმევაც ხომ უზნეობაა. რაც ათასობით წლების მანძილზე იარაღით მომხდურმა მტერმა ვერ წაგვართვა, რადგან ქართველი მამაცურად იცავდა თავის მიწას, ახლა, მეოცე საუკუნის ბოლოს, ცივილიზებულ მსოფლიოში, ვიღაცის მიერ ხელოვნურად და მზაკვრულად შეთითხნილი ძალადინტერნაციონალიზმის ლოზუნგით შექმნილი ავტონომიური ოლქის წარმომადგენელთა უსამართლო პრეტენზიების წყალობით საქართველომ თავისი ტერიტორია უნდა დაკარგოს და ამ დროს ქართველი კაცი პირში წყალჩაგუბებული უნდა უყურებდეს ამ სავალალო მანიპულაციებს? რატომ ფიქრობთ, არა მარტო ფიქრობთ, ალბათ გჯერათ კიდეც, რომ საცოდავი საქართველო იმდენად დაუძლურებულია, ხოლო ქართველები იმდენად გადაგვარდნენ, რომ თავიანთი მიწა-წყლის შესანარჩუნებლად ხმასაც არ ამოიღებენ, კრინტსაც არ დაძრავენ, თითსაც კი არ გაატოკებენ? მართლაც რომ გასაცოდავებულნი ვიყოთ. მაშინაც არ უნდა იკადროთ ჩვენი მიწის წართმევა, ჩვენს უბედურებაზე თქვენი ბედნიერების აგება, ჩვენი გადაშენება და თქვენი აშენება! ასეთი განზრახვაც კი უზნეობაა.

თქვენს ინტერვიუში განვითარებულ აზრებს ვის დასარწმუნებლად სთავაზობთ მკითხველს, ეს მე არ ვიცი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება კი მრჩება, რომ თქვენთვის სულ ერთია, ვინ წაიკითხავს მას, თქვენთვის მთავარია თქვენი საწადელის შესრულება, ხოლო რა გზით და რა სიმართლით მოხდება ეს, თქვენთვის ამას მნიშვნელობა არა ჰქონია. თქვენი ცრუ პროპაგანდით ოსებს ქართველთა წინააღმდეგ რომ ამხედრებთ, ამ ორ ხალხს შორის განხეთქილებასა და სიძულვილს რომ თესავთ, რატომ არ უკვირდებით, რა შედეგი მოყვება ამ სიავეს? რა ქნან ოს-ქართველთა შერეულმა ოჯახებმა, ნათელმირონით დაკავშირებულმა ოსებმა და ქართველებმა? ერთმანეთს დაერიონ და ქლიტონ ერთმანეთი? ამაზე გიფიქრიათ, ბატონო ალან? გარდა ამისა, თუ გიფიქრიათ თქვენი ოლქის გარეთ მცხოვრებ ოსებზე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რაიონში განფენილან და ქართველებთან შემატკბილებულად ცხოვრობენ? თქვენს მიერ დათესილი ღვარძლი როგორ პერსპექტივას უმზადებს თქვენს ათიათასობით თანამოძმეს საქართველოში დაბადებულ და აღზრდილ კაცს რატომ გავიწყდებათ, რომ სიძულვილი ანგრევს, ხოლო სიყვარული აშენებს? სიძულვილის თესვაც ხომ უზნეობაა.

თქვენ ასახელებთ გებელსის მეთოდებს, რომელთაც, თითქოს, იყენებენ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მაგრამ მხედველობიდან გამოგრჩათ ან ვარაუდობთ, რომ მკითხველს არ ახსოვს გებელსის მეთოდის ძირითადი პრინციპი: ათასჯერ ნათქვამი ტყუილი უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ერთხელ ნათქვამი სიმართლეო. თქვენ ხომ სწორედ ასე იქცევით, ამ პრინციპით ხელმძღვანელობთ და რაც მოგესურვებათ, ფაქტებისა და მეცნიერული მონაპოვრების საწინააღმდეგოდ, იმეორებთ და იმეორებთ თქვენს მიერ გამოგონილ, არარსებულ ამბებს, რათა თქვენი გაიტანოთ. ვინ გამოდის გებელსის მიმდევარი, ეს თქვენ თვითონ განსაჯეთ. ბატონო ალან, მინდა მოგიწოდოთ, რომ დადგეთ ქრისტეს გზაზე და შეასრულოთ სახარების მცნება — არა იცრუო!

შარშან „ადამონ ნიხასის" წარმომადგენლებმა საქართველოს ტელევიზიით ისიც კი თქვეს, ტარიელ კვანჭილაშვილის სტატია რომ არ გამოქვეყნებულიყო (იგულისხმებოდა „მერე რა იქნება?"), არც „ადამონ ნიხასი" შეიქმნებოდა და სამხრეთ ოსეთში არც რაიმე მოძრაობა დაიწყებოდაო. თქვენ მართლა გჯერათ ეს? ამ განცხადებაზე მე უკვე ვუპასუხე და აქ მტკიცებას აღარ დავიწყებ, მაგრამ ის კი მინდა ვიცოდე, რისთვის სჭირდება თქვენს ორგანიზაციას სიცრუე? თუმც თქვენ ქართული არაფერი მოგწონთ და ქართველებიც გულზე არ გახატიათ, მაგრამ იმას კი ვერ დავიჯერებ, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსაც" აღმაცერად უყურებთ. თუ ასე არაა, მაშინ გაიხსენეთ შოთას შეგონება: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა".

ბატონო ალან, ხომ მოგეხსენებათ, რომ რასაც დასაწყისი აქვს, მას დასასრულიც მოსდევს ხოლმე? მინდა გირჩიოთ, რომ თქვენც უნდა მორჩეთ, დაამთავროთ ქართველი ხალხის ლანძღვა, მისი შეურაცხყოფა, მისი ინტერესებისა და უფლებების ხელყოფა. უნდა დაამთავროთ, რადგან თქვენი მოქმედება უპერსპექტივოა, მას სასიკეთო შედეგი არ მოჰყვება. რატომ ცდილობთ ქართველთა თემების ამოწყვეტას? ნუთუ თქვენ მოწადინებული ხართ, რომ საქართველოში ის მოხდეს, რაც სომხეთსა და აზერბაიჯანში მოხდა, როცა თითოეულმა მათგანმა დაუნდობელი სისასტიკით თავიანთი რესპუბლიკიდან ძალით გარეკა მეორე რესპუბლიკის ეროვნების ორასიათას-ორასიათასი მცხოვრები და ისინი ლტოლვილებად იქცნენ? ასეთ რამეს ნუ ისურვებთ, ბატონო ალან, ცივილიზაციას ზურგს ნუ შეაქცევთ.

მეც პატარა ერის შვილი ვარ და ამიტომ კარგად მესმის ყველა პატარა ერის გასაჭირი და სატკივარი ამ არეულსა და მოუწყობელ სამყაროში, მაგრამ პატარა ერებმა პირველ რიგში თვითონ უნდა გამოამჟღავნონ სამართლიანობისადმი ერთგულება. საქართველოს ხარჯზე, მისი ტერიტორიის მისაკუთრებისა და წართმევის ხარჯზე, ქართველთა ინტერესების შელახვის ფასად ოსებმა თავიანთი ბედნიერება როგორ უნდა მოისურვონ? განა ესეც უზნეობა არ იქნება? კარგად შეისწავლეთ თქვენი ხალხის ისტორია, გაიხსენეთ, სად იყო თქვენი ისტორიული სამშობლო, რა ტერიტორიაზე მდებარეობდა ოსთა სამეფო, ვინ ააწიოკა იგი. ვინ გააუბედურა ოსები. კარგად დაუკვირდით ყველაფერს, წინ სიმართლე წაიმძღვარეთ და თქვენი ახალი სახელმწიფოს შექმნის საკითხი ისე გადაწყვიტეთ. კავკასიონის ქედს გადაღმა იმდენი სივრცეებია, იმდენი მიწებია, რომ თავის ძველ მკვიდრთ როგორ არ დაიტევს.

ბატონო ალან, მინდა გირჩიოთ, რომ აკვიატებული აზრებით ხელმძღვანელობა საქებარი არასდროს ყოფილა, თქვენც ნუ აღმოჩნდებით აკვიატებათა ტყვეობაში, იყავით სამართლიანი, ობიექტური და მეცნიერებისადმი ერთგული, იხელმძღვანელეთ ზნეობრიობით და პატიოსნებით. სიმართლის გზაზე კი წარმატებებს გისურვებთ, ბატონო ალან!

**ტარიელ კვანჭილაშვილი**

---

(დასასრული)

ბული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი...

არც რუსეთის ძველი და ახლად შექმნილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გამოდგება ჩვენში შესაბამისი აკადემიის აღდგენის დამაჯერებელ მოტივად, მაშინაც კი, მათ რაიმე რომ ჰქონდეთ მისაბაძი. შევახსენებთ ჩვენს მომავალ ოპონენტებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე აკადემიებით არ მიღწეულა. იქ არ ფუნქციონირებენ სასოფლო-სამეურნეო აკადემიები, მაგრამ საქმე კი გვარიანად აქვთ მოგვარებული.

ორ ათეულ წელზე მეტია ჩვენს უკანმავალ სოფლის მეურნეობას საშველად მოუვლინეს სოფლის მეურნეობის პრობლემათა განყოფილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, მაგრამ თუ რა განყოფილებაა ეს განყოფილება და რა სარგებლობა მოუტანა მან სოფლის მეურნეობას, ყველამ კარგად იცის. არც ისაა დასამალი, რომ ჩვენს სინამდვილეში აღნიშნული თუ ბევრი სხვა სტრუქტურა და თანამდებობა საქმის ინტერესებით კი არ იყო ხოლმე ნაკარნახევი, არამედ მავანისა და მავანის კარიერისათვის იქმნებოდა.

ინფანტილურად გამოიყურება შეხედულება, თითქოს აკადემიის შექმნით მოგვარდება კადრების მომზადების საკითხი. აქამდე ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს: კადრების მომზადება იწყება სტუდენტობიდან (ზოგი ქვეყნის ცალკეული უნივერსიტეტები ნიჭიერ მოსწავლეებს სკოლის ზედა კლასებშივე არჩევენ!). შერჩევას საფუძვლად უდევს დელეგირების პრინციპი—უპირატესობა გამორჩეულს, საუკეთესოს. ამის შედეგად კათედრებზე და ლაბორატორიებში ხვდებიან საუკეთესონი და ა. შ. (ამ პრინციპს რომ ჩვენში თითქმის არავინ უწევს ანგარიშს, იმიტომაც გვაქვს კარგად საქმე). ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ აკადემია აქ არაფერ შუაშია.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ საერთოდ აკადემიის დაარსების წინააღმდეგი ვიყოთ. ჩვენ გვინდა სამეცნიერო და ფართო საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ საკითხის დადებითად გადაჭრა არ არის მიზანშეწონილი სწორედ მომენტის იმ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. რესპუბლიკაში დღეს არსებულ ვითარებაში აკადემიკოსის მანტიაზე ფიქრი, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია. სადღეისოდ აგრონომიული სამეცნიერო ძალების მობილიზება, გაერთიანება და ეფექტურად გამოყენება სხვა გზითაც შეიძლება, მაგალითად აგრონომიული ასოციაციის შექმნით, რომელიც შეიმუშავებს საქართველოს აგროკულტურის განვითარების კონცეფციას და ხელს შეუწყობს იმ ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელებას, რაც კოლონიური მდგომარეობიდან გამოიყვანს საქართველოს სოფლის მეურნეობას.

ამასთან დაკავშირებით ძირეულ გადახედვას საჭიროებს მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს სწორი აგრარული პოლიტიკიდან, რომლის მიზანია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სწორი ფუნქციონირება სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებულების პირობებში. რეგიონულ განყოფილებას საამისოდ ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებია. აქამდე იგი იყო შემოქმედი და თანამონაწილე ავადხსენებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებისა და არაკომპეტენტური დიქტატისა, რამაც კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაც და მეცნიერებაც.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ნამდვილად სხვა დროა, აგრომრეწვის მეცნიერული უზრუნველყოფის ცენტრში არსებითად არაფერი შეცვლილა. უფსკრულის პირას მისულები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გადაიჩეხებიან დასაღუპავად თუ გონს მოეგებიან და მიიღებენ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას: შეცვალონ მესაჭეებიც და მიმართულებაც.

**მირიან ზვრიტიშვილი**

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ხე ნაყოფითა საცნაურ არს



მე ვიცოდი, რომ რამდენიმე წლის წინათ ბატონი შოთა ინწკირველისათვის უნდა მიენიჭებინათ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

უნდა მიენიჭებინათ, რადგან ბატონ შოთას ხელში იმდენი მოჭადრაკე დაფრთიანდა, ამ წოდებისათვის რამდენიმე ჩვეულებრივ მოკვდავ მწვრთნელს ეყოფოდა.

უნდა მიენიჭებინათ, მაგრამ...

მაგრამ დღემდე არ მიუნიჭებიათ!

დღეს კი...

ვკითხე, დღეს რომ ეს წოდება მოგანიჭონ, გინდათ-მეთქი?

ჯერ გაიკვირვა, მერე კი მაინც მინდაო,—მიპასუხა. ვთხოვე, დაეზუსტებინა.

შეძლებისდაგვარად ამიხსნა, მაგრამ ამაზე ბოლოს...

⊙

რამდენიმე წლის წინათ ნონა გაფრინდაშვილმა, როცა მისი საჭადრაკო ტახტზე ასვლიდან მეოთხედი საუკუნე აღინიშნა, ჩვენთან დიალოგში თქვა — ჩემს შვილს ჭადრაკში სავარჯიშოდ მხოლოდ შოთა ინწკირველს თუ მივაბარებდიო...

ქალბატონ ნონას ეს შეხედულება ცნობილ საჭადრაკო მწვრთნელზე შოთა ინწკირველზე, კაცზე, ვისგანაც დიდად არის ქართული ჭადრაკი დავალებული, არც შემდგომში შეუცვლია. პირიქით, რაც დრო გადის, უფრო და უფრო დაბეჯითებით იმეორებს თავის აზრს პრესაში, სხვადასხვა სპეციალურ საჭადრაკო გამოცემაში.

თუმცა სჯობია, დავაკონკრეტოთ სათქმელი — ბატონ შოთა ინწკირველს მართლაც გამორჩეული ღვაწლი მიუძღვის ქართული ჭადრაკის განვითარებაში. ყველაფერს რომც გავანებოთ თავი, მარტო იმის აღნიშვნაც იკმარებს, რომ...

დიდ ჭადრაკს შოთა ინწკირველის წყალობით ეზიარნენ საერთაშორისო დიდოსტატები — ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან კახიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომან ჯინჯიხაშვილი, გენადი ზაიჩიკი, დავით გურგენიძე, ოსტატები—თეიმურაზ ლომაია, ციცინო კახაბრიშვილი, მზია წერეთელი, ქეთევან და ნინო მელაშვილები, თამაზ ტაბატაძე; ძლიერი ოსტატობის კანდიდატები — ლეილა ნაჭყებია, ნინო ხუბულური, ნატო ბალაშვილი, ვარლამ ვეფხიშვილი, მერაბ ძნელაძე, კახა ჩიგოგიძე, გიორგი მაჭარაშვილი (სხვათა შორის, გიორგი ქეთევან კახიანის უცვლელი მწვრთნელია და სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია ქეთევანმა მაღალ შედეგებს), გიორგი ხომერიკი, ცირა მერეკლიშვილი, კახა შალამბერიძე, აკაკი იაშვილი, ბექა კვარაცხელია და სხვები.

ცხადია, ეს ცოტა არაა ერთი ჩუმი და ჭადრაკზე გულანთებული კაცისათვის. მით უფრო, რომ ეს მონაცემები ჩვენს პირობებში სრულიად საკმარისია ბევრი რეგალიის მისაღებად. მაგრამ ბატონ შოთასთვის ვერ იქნა და ვერ მოხერხდა საკავშირო მასშტაბით დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭება.

ყოველ შემთხვევაში, ბატონ შოთას დამსახურების გატოლება თავისუფლად შეიძლება ისეთი ცნობილი მწვრთნელების მონაცემებთან, როგორებიც არიან ლენინგრადელი ვიქტორ ზაკი და ლვოველი ვლადიმერ კარტი. მოჭადრაკეთაგან ბევრი ფიქრობს, რომ ძლიერ მოჭადრაკეს ასეთივე დონის, უფრო სწორად, წოდების მქონე მწვრთნელი სჭირდება. ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ სამწუხაროდ, ფაქტია.

შოთა ინწკირველს კი პრაქტიკულ თამაშში მხოლოდ ოსტატობის კანდიდატის წოდება აქვს. ცოტაა ეს თუ?..

მოდით, თვალი გავადევნოთ მის მიღწევებს საჭადრაკო სარბიელზე.

⊙

ბატონმა შოთამ თამაში ოზურგეთში ისწავლა. დიდხანს იყო რაიონის უცვლელი ჩემპიონი, შემდეგ თბილისში წამოვიდა საცხოვრებლად. 1949-51 წლებში თამაშობდა საქართველოსა და თბილისის ჩემპიონატებში, სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ ჩემპიონატში. ყველგან საგრძნობი წარმატებები ჰქონდა. 1955 წელს — ოთხი წლის შესვენების შემდეგ —I—II ადგილები გაინაწილა თბილისის პირველობაზე (წინათ, ხომ ჩვენს ჩემპიონატებში წამყვანი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ, იმავე წელს პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს გუნდურ პირველობაში). თავის მოწოდებასაც იმ პერიოდში მიაგნო. იძალა ბავშვებთან მუშაობის სურვილმა, 1953-55 წლებში იგი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მუშაობდა პედაგოგად ვახტანგ ქარსელაძესთან ერთად. მერე პირველმა ქართველმა ოსტატმა ვიქტორ გოგლიძემ მიიწვია საკავშირო მასშტაბით იმ დროს პირველ ბავშვთა საჭადრაკო სკოლაში, სადაც მთელი თორმეტი წელი იმსახურა.

1956-58 წლებში ბატონი შოთა თავისი სურვილით, სრულიად უანგაროდ მუშაობდა თბილისის პირველ საბავშვო ბაღში. ეს იყო პირველი შემთხვევა მთელ საბჭოთა კავშირში.

მართალია, გამორჩეული სატურნირო საჭადრაკო მიღწევები მას არ ჰქონია, მაგრამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების თითქმის ოთხი ათეული წელი შეალია ბავშვთა ჭადრაკს.

მე შემთხვევით არ მიხმარია სიტყვა—შეალია. და ზოგადი ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, მის მოსწავლეთა, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილ მოჭადრაკეთა სიტყვებს მოვიშველიებ:

დიდოსტატი ნინო გურიელი წერდა — „თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას ქართული ჭადრაკის ამაგდარი, ეს უპირველესად ბატონ შოთა ინწკირველზე ითქმის. მისთვის არაფერი არ არსებობდა თავისი მოსწავლეებისა და ჭადრაკის გარდა. ის ყოველთვის თავდაუზოგავად შრომობდა, ხშირად საკუთარი ჯანმრთელობის ფასადაც. ბატონი შოთა თავიდანვე არ ყოფილა ჩემი პირველი მასწავლებელი. მე მასთან მეორეთანრიგოსანი მივედი— პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ჩემი თანრიგის გაუქმება, ყველაფერი თავიდან დაიწყო. მე მასთან მუშაობაში მივხვდი, თუ რაოდენ ძნელი ყოფილა ჭადრაკის თამაში, რა ენერგია, რა ძალისხმევა სჭირდება თურმე მას. ბატონ შოთას იოლად შეეძლო შეექმნა მეტად საინტერესო, შემოქმედებითი ატმოსფერო. მისი ყოველი გაკვეთილი რაღაც ახალს მმატებდა და ვთვლი, რომ თუ რამეს მივაღწიე ჩემს საჭადრაკო პრაქტიკაში, ეს ბატონ შოთას დამსახურებაა. მას მთელი ცხოვრების მანძილზე არავითარი სიმდიდრე არ შეუქმნია. მისი სიმდიდრე ჩვენ, მისი მოსწავლეები ვიყავით. მახსოვს, როგორ გველოდებოდნენ ხოლმე მშობლები შინიდან წამოღებული საჭმელებით, მაგრამ ჩვენ იმდენად ვიყავით მუშაობაში გართული, რომ ჭადრაკის გარდა არაფერი გვახსოვდა".

თავად ის ფაქტიც, რომ ძალიან ხშირად გვიანობამდე უკირკიტებდნენ საინტერესო პარტიას, პოზიციას, ამუშავებდნენ სიახლეს, ჩემთან საუბარში არაერთგზის დაადასტურა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმაც, რომელმაც ამას წინათ თავისი გულშემატკივრები მართლაც რომ გაახარა ბრწყინვალე თამაშით. მეტიც, მან ისიც გაიხსენა, თუ როგორ დაჰყავდა შოთა მასწავლებელს თავისი მოსწავლეები კოლექტიურად მუზეუმში, თეატრში, მოჰქონდა მათთვის ტკბილეული. სხვათა შორის, ბატონ შოთას უტყუარ საჭადრაკო ინტუიციაზე მეტყველებს ისიც, რომ 1966 წელს გაზეთ „ლელოში" მან გამოაქვეყნა პატარა მასალა სათაურით — „ექვსი წლის დიდოსტატი". იგი ეხებოდა... მომავალ ექსტრაკლასის დიდოსტატს ზურაბ აზმაიფარაშვილს.

⊙

ბატონ შოთას მე კარგად ვიცნობ. მართალია, არასოდეს ვყოფილვარ მისი მოსწავლე, მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი მსმენია მის საჭადრაკო-სამწვრთნელო კრედოზე უშუალოდ მისი მოსწავლეებისაგან და კომპეტენტებისაგან.

მას აქვს მეტად ორიგინალური დამოკიდებულება, მეთოდიკა ჭადრაკის უკიდეგანო სამყაროს შესაცნობად. ფიქრობს, კიდეც წიგნის გამოქვეყნებაზე სათაურით „წერილები დამწყებ მოჭადრაკეებს", დარწმუნებული ვარ, ეს ნაშრომი მართლაც შენაძენი იქნება დამწყები მოჭადრაკეებისათვის და ჭადრაკის მოყვარულთათვის.

ცხადია, მისი ვამოცემა არ უნდა გაჯანჯლდეს.

საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ საქმეს, თხოვნას. პედანტური სიზუსტით და მაქსიმალური შესაძლებლობით აკეთებს. მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ ბატონმა შოთამ შემოგვთავაზა ერთი მეტად საინტერესო პუბლიკაცია, რომელიც ფაქტობრივ დაზუსტებას საჭიროებდა. მის დასაზუსტებლად მან რამდენიმე კვირა გაატარა საჯარო (დღევანდელ ეროვნულ) ბიბლიოთეკაში და წარმოდგენილი მასალა უტყუარი ნიუანსებით გაამყარა.

ბატონი შოთა იმათ რიცხვშია, ვინც რამდენიმე წლის წინათ, ჯერ კიდევ ე. წ. „უძრაობის პერიოდში" შეეწინააღმდეგა საბჭოთა სპორტში ყოვლად გაუმართლებელი და დღეს უკვე ყავლგასული იმპერიულ-ცენტრისტული მართვის პრინციპებს. რაც იმხანად (ეს იყო 1978 წელს) დიდად მოულოდნელი გამოდგა საკავშირო სპორტკომიტეტისათვის.

დღეს საქართველოში ჭადრაკის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. და ეს ბუნებრივია, ბატონ შოთას სხვა იმედით, სხვა რწმენით ავსებს.

●

ზემოთ უკვე ვთქვით, ბატონმა შოთამ სცადა, დაეზუსტებინა, თუ რატომ უნდოდა (სავსებით დამსახურებულად) ასე დაბეჯითებით სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდების მონიჭება. მითხრა — ბოლმისაგან უფრო თუ მინდა, თორემ შეიძლება, შემდეგ უარიც კი ვთქვაო. გამგები, ალბათ, გაიგებს— ბატონი შოთას ამ სიტყვებში დიდი ტკივილიცაა და სინანულიც. თავის დროზე მას მავან ჩინოვნიკთათვის კარები რომ ეტალახებინა და „რკინის ქალამნებით" ეძებნა სიმართლე, ეს წოდება, ალბათ, კარგა ხნის „ბოძებული" ექნებოდა. მაგრამ მან არ იკადრა ეს. თმენა-თმენაში კი... სხვები აღზევდნენ.

ახლა?...

**დიტო ჯუმითელი**

**გთავაზობთ ბატონი შოთა ინწკირველის მიერ ცნობილ ოსტატ ალექსანდრე ბუსლაევთან 1947 წელს შავებით ნათამაშებ მეტად ლამაზ პარტიას.**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. ლc2 0-0 5. e4 d6 6. მf3 მc6 7. e5 de 8. de მg4! 9. კd3!? მg:e5 10. კ:h7 მფh8 11. კe4 მd4 12. მ:d4 ლ:d4 13. 0-0 f5 14. ეd1 ლ:c4 15. კd3 ლh4 16. კe2 კc5 17. g3 კ:f2!? 18. მფg2 ლh7 19. კf4 მg6 20. კ:c7 e5!! 21. h4?! f4 22. კd3 კ:g3! 23. კ:g6 კh3!! 24. მფf3 ლ:h4 25. კd3 ლg4 26. მფe4 f3 27. მფd5 ლd4X.





„ვუდბარი, ჯენსენ, კესლერ და სვინტონ კორპორეიშენი" — აშშ იუტას შტატის ქ. სოლტ-ლეიქ-სითი;

— „ამირანი კორპორეიშენი" აშშ, იუტას შტატი, ქ. სოლტ-ლეიქ-სითი;

— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და საქმიანი ურთიერთობების ასოციაცია „იყალთო XXI"

## 1990 წლის 8-დან 12 ნოემბრამდე

თბილისში, რიტუალების სასახლეში აწყობენ საერთაშორისო ბიზნესის სკოლას წარმოებიდან მოწყვეტით. ხუთი დღის განმავლობაში ლექციებს წაიკითხავენ და საქმიან მოლაპარაკებებს აწარმოებენ მსმენელებთან ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენები.

ყურადღებას ვთხოვთ საქართველოს მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებს; ბიზნესის სკოლაში ჩარიცხვის სურვილის თაობაზე განაცხადი გააკეთდეს არაუგვიანეს 6 ნოემბრის 12 საათისა.

სწავლების ფასი რვაასი მანეთია, რომელიც მოიცავს ყოველდღიურ სადილსაც რიტუალების სასახლის რესტორანში.

ჩვენი რეკვიზიტებია: ივერთბანკი, ანგ. № 000161700 (700016), ბანკის კოდი 52192.

მსმენელთა მიღება იწარმოებს საგარანტიო წერილის საფუძველზეც.

მაშ ასე, დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ მისამართით: რუსთაველის გამზირი №52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობა, V სართული, ოთახები №№ 509, 510, 511, ასოციაცია „იყალთო XXI". ჩვენი ტელეფონებია: 99-55-05, 93-38-53, 93-85-98, 93-86-15.

იჩქარეთ, ბიზნესის სკოლაში მხოლოდ 40 მსმენელი ჩაირიცხება.

# ღირსებანი არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

# ასე ფიქრობს მაია ჩიბურდანიძე

**ახლახან ბორჯომში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც ჩინელმა სე ჯუნმა და იუგოსლაველმა ალისა მარიჩმა გაიმარჯვეს. ბუნებრივია, გვაინტერესებდა როგორ აფასებს ამ ტურნირის შედეგებს მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. ამ ორიოდე დღის წინ ვესაუბრეთ მაიას.**

— ტურნირის დროს ქობულეთში ვისვენებდი და, რა თქმა უნდა, ინტერესით ვადევნებდი თვალს მის მსვლელობას. პარტიებს კი ახლა ვეცნობი, — ამბობს მაია. — თავიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალური მატჩის საგზურებს ნონა და ნანა დაეუფლებოდნენ, მაგრამ ფინიშზე, დასკვნით ტურში მოხდა სენსაცია: ფინალისტები სწორედ ისინი გახდნენ, ვისთანაც ამ დღეს წააგეს ჩვენებმა. ჩემი აზრით, ჩვენი დიდოსტატების იმედები უმძაფრესმა ნერვიულმა სიტუაციამ შეიწირა. საერთოდ, როგორ შეიძლება მსგავსი დიდმნიშვნელოვანი ტურნირის ერთ წრედ ჩატარება. იგი ფიდე-ს შეცდომაა. მის თავკაცებსაც კარგად უნდა სცოდნოდათ რომ „მოკლე ტურნირში“ საგრძნობლად იზრდება შემთხვევითობის კოეფიციენტი. ერთი წრე ხელს აძლევდათ ახალგაზრდა დიდოსტატებს, რომლებიც უფრო რისკიანად თამაშობენ. გასაგებია მათი კრედო: გაიმარჯვებს — მოუწონებენ, წააგებს — არავინ გაკიცხავს. ამიტომაც მარიჩი ორწრიანი ტურნირის წინააღმდეგი იყო. როგორც ხედავთ, გაუმართლა კიდეც.

**⊙ თუ იცნობთ მარიჩსა და სე ჯუნს. როგორ აფასებთ მათ თამაშს?**

— ჩინელს არ ვიცნობ. მარიჩი კი დიდი ხნის წინათ გავიცანი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1978 წელს ბელგრადში მასპინძლებმა მთხოვეს გაზეთ „პოლიტიკის“ თასი გადამეცა პიონერთა ტურნირში გამარჯვებული გოგონასთვის. ის, ლამაზი გოგონა, 8 წლის ალისა მარიჩი იყო. 1983 წელს მას უკვე პირისპირ შევხვდი ბელგრადის სარვამარტო ქალთა საერთაშორისო ტურნირზე. პარტია ყაიმით დავამთავრეთ. მერე, 1988 წელს, მოვუგე მას სალონიკის საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სადაც ალისა იუგოსლავიის ნაკრების პირველ დაფაზე თამაშობდა. მარიჩი პოზიციური სტილის მოჭადრაკეა. კარგად იცნობს თეორიას.

ჩინელზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. უთუოდ ნიჭიერია, მზარდი. ჩანს, მახვილი ტაქტიკოსის თვალი აქვს. რა თქმა უნდა, მისი და მარიჩის გამარჯვება ბორჯომში მოულოდნელი იყო.

**⊙ მატჩში მეტოქედ რომელს ისურვებდით?**

— ვინც გაიმარჯვებს მათ შორის დამატებით შეხვედრაში (იცინის), რომელიც გაისად იანვარში უნდა მოეწყოს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ საგულდაგულოდ უნდა მოვემზადო მათთან საპაექროდ. ბრძოლა ადვილი არ იქნება.

**⊙ სხვათა შორის, ბორჯომის ტურნირის წინ ბევრს ლაპარაკობდნენ დებ პოლგარებზე. თითქოს ისინი თამაშს აპირებდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც უარი თქვეს.**

— ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. ჩემი აზრით, პოლგარები ზედმეტად გაიტაცა თვითრეკლამამ და კომერციამ. უძლიერესი ბრძოლაში უნდა გამოვლინდეს. ამიტომ მზად ვარ შევხვდე მათ საჭადრაკო დაფასთან, მაგრამ კატეგორიულად უარვყოფ მათ სპეკულატურ განცხადებებს, პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობაზე უარი რომ სთქვეს, განაცხადეს, რომ საერთოდ არ აპირებენ ქალებთან თამაშს, იქნებ ამიტომაც არ მიიღეს ჩემი გამოწვევა?

**⊙ სადღაც წავიკითხე, რომ ნოვი-სადის ოლიმპიადაში უნგრეთის ვაჟთა გუნდის სახელით სურთ გამოსვლა.**

— ეს ახალი ამბავია. გაგებული მაქვს, რომ ქალთა ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის უნგრეთის ჭადრაკის მესვეურთ 20 ათასი დოლარი მოთხოვეს. ამიტომ გაურკვეველია მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას ოლიმპიადაში. როგორც იცით, 1988 წელს მათ მოიპოვეს ოლიმპიური ჩემპიონობა. ამდენად სასურველია მათი ჩამოსვლა ნოვი-სადში.

**⊙ ამ ბოლო დროს თუ შეხვედრიხართ პოლგარებს?**

— არა. ადრე სამი პარტია ვეთამაშე ჟუჟას, ერთი — იუდითს. ოთხივე ყაიმით დამთავრდა.

**⊙ ვიცი ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ემზადებით. რა შეგიძლიათ თქვათ მასთან დაკავშირებით?**

— ამჯერად ქალთა და ვაჟთა ოლიმპიადებს იუგოსლავიის ქალაქი ნოვი-სადი უმასპინძლებს 16 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიწვეული ვართ მე, ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია. ვინ იქნება მეოთხე წევრი ჯერ უცნობია. ბორჯომის ტურნირის შედეგების მიხედვით მწვრთნელებმა ალისა გალიამოვა დაასახელეს, მაგრამ, როცა დაფიქრდნენ, მისი კანდიდატურა თავადვე ეჭვის ქვეშ დააყენეს. საქმე ისაა, რომ ალისა თითქმის ყველა პარტიაში ცაიტნოტშია, რაც ძალზე საშიშია გუნდურ შეჯიბრებაში. ასეთი მოჭადრაკე ზედმეტად აღელვებს და აფორიაქებს თანაგუნდელებს. ამიტომ გამოითქვა მოსაზრება, რომ ნაკრებში ნონა გაფრინდაშვილი მიიწვიონ, რაც სავსებით სამართლიანად მიმაჩნია. მერე რა რომ ბორჯომში გალიამოვამ გაუსწრო მას (მხოლოდ ნახევარი ქულით). ჩემი აზრით, ნონას ერუდიცია და ოლიმპიადებში მდიდარი გამოცდილება (იგი ათი ოლიმპიადის ჩემპიონია) უფრო წაადგება ნაკრებს. შარშანწინ ნაკრებში ნონა რომ არ შეიყვანეს, საბჭოთა კავშირმა დაკარგა კიდეც ჩემპიონობა. ასე რომ, ნაკრების მეოთხე წევრის ვინაობის საკითხი ამ დღეებში გადაწყდება.

ალბათ საინტერესოა, რომ ოლიმპიადის დღეებში მოხდება ფიდე-ს პრეზიდენტის, შემსრულებელი ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის გადარჩევები. უკვე ცნობილია პრეზიდენტის და მისი „გუნდის“ კანდიდატების ვინაობა. პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრიან ფიდე-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი (ფილიპინები), რომან ტორანი (ესპანეთი) და ნარცისო რაბელ-მენდესი (პუერტო-რიკო). ძნელი სათქმელია შეძლებს თუ არა კამპომანესი მესამედ გამარჯვებას. მართალია, მან ბევრი რამ გააკეთა პრეზიდენტობის ორი პერიოდის, 8 წლის მანძილზე, ჭადრაკის პოპულარიზაცია-განვითარებისთვის, მაგრამ შეცდომებიც ბევრი დაუშვა. მხედველობაში მაქვს კარპოვ-კასპაროვის 1985 წლის მატჩის ჩაშლა, რისთვისაც გარი კასპაროვი გადაიმტერა.

**⊙ და ბოლოს. თქვენს გულშემატკივრებს აინტერესებთ თურქეთის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის შემდეგ რომელ შეჯიბრებებში მიიღეთ მონაწილეობა. ამის თაობაზე ჩვენს პრესაში არაფერი დაწერილა.**

— კეთილი. თურქეთში აპრილში ვიყავი. მაისში მონაწილეობა მივიღე საქართველოს ქალთა ნაკრების ამხანაგურ მატჩში იუგოსლავიის სპორტკლუბ „გოშას“ ვაჟთა გუნდთან. მაშინვე ბადენ-ბადენის ღია საერთაშორისო ტურნირში ვითამაშე. საინტერესო იყო შვეიცარიის ქალაქ ბილის ტრადიციულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. თორმეტნი ვმონაწილეობდით, მათ შორის ნანა იოსელიანი, პია კრამლინგი და მე. 6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები გავიყავი, პიამ 6 ქულით მეხუთე-მეშვიდე ადგილები, ნანამ 4,5 ქულით მეცხრე ადგილი დაიკავა. მერე მე, ნანა და ქეთევან არახამია შევხვდით ქალაქ ბილის ვაჟთა ნაკრებს და გავიმარჯვეთ ანგრიშით 4:2. სექტემბერში იტალიის ღია საერთაშორისო ტურნირში მივიღე მონაწილეობა. ერთი სიტყვით, პრაქტიკა არ დამკლებია. ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ ზაფხულში ავტოქალაქ ტოლიატში გახლდით, სადაც 20 ერთდროული თამაშის სეანსი და თითქმის ამდენივე კითხვა-პასუხის საღამო გავმართე.

ესაუბრა
**თენგიზ გიორგაძე.**

**გაზეთის დაბეჭდვის წინ ცნობილი გახდა, რომ ნანა იოსელიანმა სხვადასხვა მიზეზის გამო უარი თქვა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, რაც დიდად სამწუხაროა. ასე რომ, საბჭოთა ნაკრები ნოვი-სადში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ქეთევან არახამია და ალისა გალიამოვა. 5 ნოემბერს მოსკოვის ახლოს აგარაკ, კრასნოე-ოზეროში შეკრება-მზადებას შეუდგებიან.**


## ძვირფასო ქალებო!

მკითხველთა დაჟინებული თხოვნით ჟურნალი „მანდილი“ 1991 წლიდან კვლავ იბრუნებს თავის პირვანდელ სახელს „საქართველოს ქალს“.

ვფიქრობთ, არ უღალატებთ თქვენს უახლოეს მრჩეველსა და მეგობარს. ჟურნალი კი გპირდებათ მრავალ სიხარულს, სიახლეს და რომ კვლავაც ერთგულად იდგება თქვენს სამსახურში.

შეგახსენებთ „მანდილის“ („საქართველოს ქალი“) ხელმოწერა გრძელდება 15 ნოემბრამდე.

იჩქარეთ, იჩქარეთ, ფასი ნუ შეგაშინებთ!

ჟურნალის წლიური ღირებულება 6 მანეთია.



## ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ და სატელევიზიო პროგრამა „ილუზიონში“ რეკლამები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 87-58-25; მისამართი: ბუდაპეშტის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე).

ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო


# სილამაზის კონკურსი







23-24 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კომერციულ-საქველმოქმედო ფირმა „ჰუმანიზმის“ ინიციატივით ჩატარდა სილამაზის კონკურსი ორ ტურად. მისი 24 მონაწილე თანამედროვე, სპორტიული და სადღესასწაულო ტანსაცმლით წარსდგა მაყურებლის წინაშე, რომელიც ხუთი ათასამდე იყო დარბაზში. მეორე ტურზე ადგილები ასე განაწილდა: ნინო სალუქვაძე — „მის საქართველო-90“, მის ფოტო-შანსი“. თამარ ჭიჭინაძე — I ადგილი, ნათია შელეგია — II ადგილი, ნათია ჯაფარიძე — III ადგილი (მის კინო შანსი), „მის თბილისი“ — ანი ქიტიაშვილი, „მის მოდა“ — მარინა იაშვილი.

იმის გამო, რომ მაყურებელმა უდიერი ქცევით დიდი ზიანი მიაყენეს ფილარმონიის შენობას, ზარალის ანაზღაურების შემდეგ ფირმა „ჰუმანიზმის“ მოგებული თანხიდან ქველმოქმედებისათვის სახსრები, ალბათ, აღარ დარჩება.

**თეა მიჩილაშვილი**


## ვიზების სათარგმნად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 3.


# გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციას

ქ. თბილისის 166-ე გახანგრძლივებული დროის რეჟიმის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დიდ შეშფოთებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, რომელიც კენჭს იყრიდა № 10 ოლქში, უარი განაცხადა მეორედ არჩევნებში მონაწილეობაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტში უნდა მოღვაწეობდნენ სწორედ ისეთი პიროვნებები, საქართველოს პატრიოტები, როგორიცაა ბატონი თამაზი. მისი ავტორიტეტი მეტად სჭირდება ეროვნულ პარლამენტს, წარმოუდგენელია ეროვნული პარლამენტი თამაზ გამყრელიძის, აკაკი ბაქრაძის, ნოდარ ნათაძის, ირაკლი შენგელაიას გარეშე.

მოვითხოვთ, რომ მეორედ არჩევნებში აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა თამაზ გამყრელიძემ.

**სულ 146 ხელმოწერა**


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი **მერაბ ბალარჯიშვილი**

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.